

პროექტი

საქართველოს მთავრობის

დადგენილება

2025 წლის

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტი – „სპირტიანი სასმელების განმარტების, აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირების, სხვა სურსათის წარდგენისა და ეტიკეტირებისას სპირტიანი სასმელების დასახელების გამოყენების, სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის, სპირტიან სასმელებში სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და დისტილატების გამოყენების შესახებ“

მუხლი 1.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – „სპირტიანი სასმელების განმარტების, აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირების, სხვა სურსათის წარდგენისა და ეტიკეტირებისას სპირტიანი სასმელების დასახელების გამოყენების, სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის, სპირტიან სასმელებში სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და დისტილატების გამოყენების შესახებ“.

მუხლი 2.

სპირტიანი სასმელები, რომლებიც არ შეესაბამება ამ დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, დასაშვებია, ბაზარზე განთავსებულ იქნეს წლის მდე.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს 20.... წლის- დან.

მუხლი 4. ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 ნოემბრის დადგენილება №554 „ტექნიკური რეგლამენტი – სპირტიანი სასმელების შესახებ დამტკიცების თაობაზე“.

პრემიერ - მინისტრი

ირაკლი კობახიძე

DRAFT

ტექნიკური რეგლამენტი – „სპირტიანი სასმელების განმარტების, აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირების, სხვა სურსათის წარდგენისა და ეტიკეტირებისას სპირტიანი სასმელების დასახელების გამოყენების, სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის, სპირტიან სასმელებში სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და დისტილატების გამოყენების შესახებ“

მუხლი 1. მიზანი და ზოგადი დებულებები

1. ტექნიკური რეგლამენტი – „სპირტიანი სასმელების განმარტების, აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირების, სხვა სურსათის წარდგენისა და ეტიკეტირებისას სპირტიანი სასმელების დასახელების გამოყენების, სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის, სპირტიან სასმელებში სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და დისტილატების გამოყენების შესახებ“ (შემდგომში – ტექნიკური რეგლამენტი) მიზნად ისახავს სპირტიანი სასმელების წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

2. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს მოთხოვნებს:

ა) სპირტიანი სასმელების (გარდა „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სპირტიანი სასმელებისა) განმარტების, აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირების მიმართ;

ბ) ეთილის სპირტისა და დისტილატების მიმართ, რომელიც გამოიყენება ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებაში;

გ) სპირტიანი სასმელების გარდა, სხვა სურსათის წარდგენისა და ეტიკეტირებისას სპირტიანი სასმელების ოფიციალური დასახელებების გამოყენების მიმართ.

დ) სპირტიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების მიმართ.

3. ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნები ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პროდუქტების მიმართ, რომლებიც განთავსებულია ბაზარზე, ასევე იმ პროდუქტების მიმართ, რომლებიც წარმოებულია საქართველოში და განკუთვნილია ექსპორტისათვის.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული პროდუქტები უნდა აკმაყოფილებდნენ ამ ტექნიკური რეგლამენტით და დეკლარირებული სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **ოფიციალური (ოფიციალური) დასახელება** - სურსათის სახელწოდება, რომლითაც იგი განთავსებულია ბაზარზე, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და რომელი დასახელებითაც იგი მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს ან საზოგადოებრივი კვების ობიექტს;

ბ) **შედგენილი ტერმინი** - ალკოჰოლიანი სასმელების აღნიშვნის, წარდგენის და ეტიკეტირების დროს აღნიშნავს ან დანართი N1-ით განსაზღვრული „სპირტიანი სასმელების კატეგორიების“ ოფიციალური დასახელების, ან სპირტიანი სასმელის გეოგრაფიული აღნიშვნის (საიდანაც წარმოშობილია საბოლოო/მზა პროდუქტის მთლიანი ალკოჰოლი) კომბინაციას ერთ - ერთ ან რამდენიმე შემდეგ დასახელებასთან:

ბ.ა) ერთი ან რამდენიმე სასურსათო პროდუქტის დასახელებასთან, რომლებიც არ წარმოადგენენ ალკოჰოლიან სასმელებს და არც სასურსათო პროდუქტებს, რომლებიც, დანართი N1-ის შესაბამისად გამოიყენება ამ სპირტიანი სასმელის წარმოებისათვის, ან ზეთსართავ სახელებთან, რომლებიც წარმოქმნილია ამ დასახელებებიდან;

ბ.ბ) ტერმინები - „ლიქიორი“ ან „ნაღები“/“კრემი“ („cream“);

გ) **მითითება/მინიშნება** - აღწერაში, წარდგენაში ან ეტიკეტზე პირდაპირი ან ირიბი (არაპირდაპირი) მინიშნება დანართი N1-ით განსაზღვრულ სპირტიანი სასმელების კატეგორიების ერთ ან რამდენიმე ოფიციალურ დასახელებაზე ან სპირტიანი სასმელების ერთ ან რამდენიმე გეოგრაფიულ აღნიშვნაზე, გარდა შედგენილ ტერმინში ან ინგრედიენტების ჩამონათვალში მინიშნებებისა, როგორც ეს განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-2-6-ე პუნქტებით:

გ.ა) სასურსათო პროდუქტზე, გარდა სპირტიანი სასმელისა;

გ.ბ) სპირტიან სასმელზე, რომელიც შეესაბამება დანართი N 1-ის 32-39-ე კატეგორიებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს;

გ.გ) სპირტიან სასმელზე, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ პირობებს;

დ) **გეოგრაფიული აღნიშვნა** - აღნიშვნა, რომელიც შეიცავს გეოგრაფიული ადგილის (არეალის) სახელს ან სხვა აღნიშვნას, რომელიც ამ გეოგრაფიულ ადგილზე მიუთითებს და გამოიყენება იმ სპირტიანი სასმელის მოსანიშნად, რომელიც ამ გეოგრაფიული არეალიდან არის წარმოშობილი და რომლის ხარისხი, რეპუტაცია ან სხვა მახასიათებლები, ძირითადად, მისი გეოგრაფიული წარმოშობითაა განპირობებული, რომლის წარმოების ერთი ეტაპი მაინც ხორციელდება ამ გეოგრაფიული არეალის საზღვრებში;

ე) პროდუქტის სპეციფიკაციები - საქართველოს კანონით „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ განსაზღვრული ერთიანი დოკუმენტი, რომელიც თან უნდა ახლდეს ადგილწარმოშობის დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის შესახებ განაცხადს;

ვ) ხედვის არეალი - შეფუთვის მთელი ზედაპირი, რომელზედაც განთავსებული ინფორმაციის წაკითხვა შესაძლებელია ხედვის ერთი წერტილიდან;

ზ) შერევა - დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების კატეგორი(ებ)ის ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული სასმელების კომბინაცია ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმესთან:

ზ.ა) სხვა სპირტიან სასმელ(ებ)თან, რომლებიც არ მიეკუთვნებიან დანართი N1-ით განსაზღვრულ იმავე კატეგორიის სპირტიან სასმელს;

ზ.ბ) სასოფლო სამეურნეო წარმოშობის დისტლატ(ებ)თან;

ზ.გ) სასოფლო სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტთან;

თ) ნარევი - სპირტიანი სასმელი, რომელიც დაექვემდებარა შერევას;

ი) კუპაჟირება - შემადგენლობაში უმნიშვნელო განსხვავებების მქონე, ერთი და იმავე კატეგორიის ორი ან მეტი სპირტიანი სასმელების კომბინაცია. ამგვარად წარმოებული სპირტიანი სასმელი მიეკუთვნება სპირტიანი სასმელების იმავე კატეგორიას, რასაც ორიგინალი სპირტიანი სასმელები შერევამდე. საწყისი სპირტიანი სასმელების უმნიშვნელო განსხვავებები შესაძლებელია გამოწვეული იქნეს შემდეგი ერთი ან რამდენიმე ფაქტორის გამო:

ი.ა) წარმოების მეთოდი;

ი.ბ) გამოყენებული გამოსახდელი აპარატები;

ი.გ) დავარგების ან დამველების პერიოდი;

ი.დ) წარმოების გეოგრაფიული არეალი;

კ) კუპაჟი - სპირტიან სასმელი, რომელიც მიღებულია კუპაჟირებით;

ლ) ჩვეული დასახელება - სურსათის სახელწოდება, რომელსაც მომხმარებელი, სურსათის შემენისას აღიქვამს როგორც სურსათის სახეობას და აღარ საჭიროებს შემდგომ დამატებით ახსნა-განმარტებას;

მ) დეკლარირებული სტანდარტი - სტანდარტი, რომელსაც მწარმოებელი იყენებს და რომლის გამოყენების შესახებაც მიუთითებს, მათ შორის, საწარმოს შიდა სტანდარტი;

ნ) აღწერა - ტერმინები, რომლებიც გამოიყენება სპირტიანი სასმელის ეტიკეტზე, წარდგენისას და შეფუთვაზე, სპირტიანი სასმელების ტრანსპორტირებისას თანმხლებ დოკუმენტებში, კომერციულ დოკუმენტებში, კერძოდ, ინვოისებსა და ზედდებულებში, და ასევე სპირტიანი სასმელის რეკლამაში;

ო) წარდგენა/პრეზენტაცია - ტერმინები, რომლებიც გამოიყენება ეტიკეტზე და შეფუთვაზე, ასევე პროდუქტის რეკლამასა და გაყიდვების რეკლამაში, სურათებში ან მსგავს საშუალებებში, ასევე ტარაზე, მათ შორის ბოთლზე ან ბოთლის სახურავზე;

პ) ეტიკეტირება - ნებისმიერ სიტყვა, მონაცემი, სავაჭრო ნიშანი/მარკა, სასაქონლო ნიშანი/ბრენდი, ბრენდის დასახელება, გამოსახულება ან სიმბოლო, რომელიც დაკავშირებულია პროდუქტთან და განთავსებულია ან მოცემულია ნებისმიერ შეფუთვაზე, დოკუმენტში, შეტყობინებაზე, ეტიკეტზე, ბეჭედზე ან საყელოზე, რომელიც თან ახლავს ამ პროდუქტს ან მიუთითებს მასზე;

ჟ) ეტიკეტი - ნებისმიერი იარლიყი (ბირკა), სასაქონლო ნიშანი (ბრენდი), სავაჭრო ნიშანი (მარკა), გრაფიკული გამოსახულება ან სხვა აღწერილობითი მასალა, რომელიც სპირტიანი სასმელის შეფუთვაზე ან ტარაზე/კონტეინერზე წერილობითი, ბეჭდური, შაბლონის, აღნიშნული ან ამოტვიფრული სახით არის განთავსებული ან მიმაგრებული;

რ) შეფუთვა - დამცავი შეფუთვა, ყუთ(ებ)ი, ტარა/კონტეინერები და ბოთლები, რომლებიც გამოიყენება სპირტიანი სასმელის ტრანსპორტირების და/ან რეალიზაციის დროს;

ს) დისტილაცია - თერმული სეპარაციის პროცესი, რომელიც მოიცავს დაყოფის ერთ ან რამდენიმე ეტაპს და გამიზნულია განსაზღვრული ორგანოლეპტიკური თვისებების, ან ალკოჰოლის მაღალი კონცენტრაციის, ან ორივეს მისაღწევად, მიუხედავად იმისა, გამოყენებული დისტილაციის მოწყობილობის მიხედვით, ეს ეტაპები ხორციელდება ნორმალური წნევის პირობებში თუ ვაკუუმში. დისტილაცია შეიძლება იყოს ერთჯერადი, მრავალჯერადი ან განმეორებითი;

ტ) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატი - ალკოჰოლური სითხე, რომელიც მიღებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ნედლეულის სპირტული დუდილის/ალკოჰოლური ფერმენტაციის პროდუქტ(ებ)ის შემდგომი დისტილაციით, რომელსაც არ ახასიათებს უშუალოდ ეთილის სპირტის ან სპირტიანი სასმელ(ებ)ის თვისებები, თუმცა შენარჩუნებული აქვს გამოყენებული ნედლეულის არომატი და გემო;

უ) დატკობა - სპირტიან სასმელების წარმოებაში ერთი ან რამდენიმე დამატკობელი პროდუქტის გამოყენება;

ფ) დამატკობელი პროდუქტები - პროდუქტები, რომლებიც მიეკუთვნება ერთ-ერთს:

ფ.ა) ნახევრად თეთრი შაქარი (შაქრის ფხვნილი), თეთრი შაქარი, ექსტრა-თეთრი შაქარი, დექსტროზა, ფრუქტოზა, გლუკოზის სიროფი, შაქრის ხსნარი, ინვერსიული შაქრის ხსნარი, ინვერსიული შაქრის სიროფი;

ფ.ბ) ყურძნის ტკბილი რექტიფიცირებული კონცენტრირებული, ყურძნის ტკბილი კონცენტრირებული, ყურძნის ტკბილი ახალი;

ფ.გ) დამწვარი შაქარი, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ საქაროზას კონტროლირებადი გაცხელების შედეგად მიღებული პროდუქტს ფუძეების, არაორგანული მჟავების და სხვა ქიმიური დანამატების გარეშე;

ფ.დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული თაფლი;

ფ.ე) მცენარე კერატის (*Ceratonia siliqua* L.) ნაყოფის სიროფი;

ფ.ვ) ნებისმიერი, ბუნებრივი წარმოშობის სხვა ნახშირწყლები, რომელთაც ამ ქვეპუნქტის „ფ.ა - ფ.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პროდუქტების მსგავსი ეფექტი აქვთ;

ქ) ალკოჰოლის დამატება - სპირტიან სასმელში სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ან სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატების, ან ორივეს დამატება; ასეთი დამატება არ მოიცავს იმ ალკოჰოლს, რომელიც გამოიყენება საღებავების, არომატიზატორების ან სპირტიანი სასმელების წარმოებაში გამოყენებული სხვა დაშვებული ინგრედიენტების გასახსნელად ან განზავებისათვის;

ღ) დავარგება ან დაძველება – გარკვეული პერიოდის განმავლობაში სპირტიანი სასმელის შენახვა შესაბამის ჭურჭელში, იმ მიზნით, რომ ალკოჰოლურმა სასმელმა განიცადოს ბუნებრივი რეაქციები, რომლებიც მას სპეციფიკურ მახასიათებლებს ანიჭებენ;

ყ) არომატიზება - სპირტიანი სასმელების წარმოების პროცესში არომატიზატორების, ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის დამატება ერთი ან რამდენიმე პროცესით - დამატება, დაყოვნება, მაცერაცია, სპირტული დუღილი/ალკოჰოლური ფერმენტაცია ან ალკოჰოლის დისტილაცია არომატიზატორების ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის თანაობისას;

შ) არომატიზატორები - პროდუქტი, რომელიც ჩვეულებრივ არ გამოიყენება სურსათად და რომლის დამატება ხდება სურსათისათვის არომატის ან/და გემოს მიცემის ან შეცვლის მიზნით. არომატიზატორი მზადდება ან შედგება არომატული ნივთიერებების, არომატული პრეპარატების, თერმული ტექნოლოგიური არომატიზატორების, შესაბოლი არომატიზატორების, არომატიზატორების პრეკურსორების ან სხვა არომატიზატორების ან მათი ნარევებისაგან;

ჩ) არომატული ნივთიერება - განსაზღვრული ქიმიური ნივთიერებები დამახასიათებელი გემოთი და არომატით;

ც) ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებები – არომატული ნივთიერებები, რომლებიც მიიღება შესაბამისი ფიზიკური, ფერმენტული, მიკრობიოლოგიური პროცესებით მცენარეული, ცხოველური და მიკრობიოლოგიური წარმოშობის მასალისაგან, ნედლი ან გადამუშავებული სახით და გამოიყენება ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათის ერთი ან მეტი ტრადიციული პროცესებით მომზადებისას. ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებები შეესაბამებიან ბუნებაში ბუნებრივად არსებულ ან გამოვლენილ ნივთიერებებს;

მ) არომატული პრეპარატი – პროდუქტი, გარდა არომატიზატორისა, რომელიც მიღებულია:

მ.ა) სურსათისაგან, სათანადო ფიზიკური, ფერმენტული ან მიკრობიოლოგიური პროცესებით, ან ნედლეულიდან, ან ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათის მომზადების ერთი ან მეტი ტრადიციული პროცესების გამოყენების შედეგად;

მ.ბ) მცენარეული, ცხოველური და მიკრობიოლოგიური წარმოშობის მასალისაგან, გარდა სურსათისა, სათანადო ფიზიკური, ფერმენტული და მიკრობიოლოგიური პროცესებით, რომლის დროსაც მასალა აღებულია არსებული ფორმით ან დამზადებულია ადამიანის მოხმარებისათვის განკუთვნილი სურსათის მომზადების ერთი ან მეტი ტრადიციული პროცესების გამოყენებით;

წ) სხვა არომატიზატორები – დანამატები, რომელიც ემატება ან განკუთვნილია სურსათში დასამატებლად გემოს ან/და სუნის მიცემისთვის და რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ პუნქტის „ნ-ჟ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ საშუალებებს;

ჭ) არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათი – სურსათის ინგრედიენტი, გარდა არომატიზატორებისა, რომელიც შესაძლოა სურსათს დაემატოს ძირითადად გემოს მიცემის ან შეცვლის მიზნით და რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს სურსათში ბუნებრივი, არასასურველი ნივთიერებების არსებობას;

ხ) შეფერვა/შეღებვა – სპირტიანი სასმელის წარმოების პროცესში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე საღებავის გამოყენება;

ჯ) საღებავი – ნივთიერება, რომელიც აძლევს ფერს ან აღადგენს სურსათის შეფერილობას და მოიცავს სურსათის ბუნებრივ კომპონენტებს ან ბუნებრივ წყაროებს, რომლებიც, როგორც წესი, არ გამოიყენება სურსათად და სურსათის ტიპიურ ინგრედიენტად. პრეპარატები, რომელიც მიიღება სურსათიდან და სურსათის სხვა საკვებად ვარგისი ბუნებრივი წყაროებიდან ფიზიკური და/ან ქიმიური ექსტრაქციით, რასაც თან ახლავს საკვებ ან არომატულ კომპონენტებთან დაკავშირებული პიგმენტების სელექტიური ექსტრაქცია, ასევე წარმოადგენენ საღებავებს;

ჰ) კარამელი – საკვებდანამატები E 150a, E 150b, E 150c ან E 150d, რომლებიც განსაზღვრულია „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N 585 დადგენილების დანართი N-ის ნაწილი „ბ“ - ით და წამოადგენენ მეტ-ნაკლებად ინტენსიურ ყავისფერი შეფერილობის პროდუქტებს, რომლებიც განკუთვნილია შეღებვისათვის. კარამელი არ წარმოადგენს შაქრიან არომატულ პროდუქტს, რომელიც მიიღება შაქრის გაცხელებით და გამოიყენება არომატიზაციისათვის;

ჰ¹) სხვა დაშვებული ინგრედიენტები - არომატული თვისებების მქონე სხვა ინგრედიენტები, რომლებიც დაშვებულია „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის

თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 აგვისტოს დადგენილება №497-ით და საკვებდანამატები, გარდა „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 23 დეკემბრის N 585 დადგენილებით დაშვებული საღებავებისა;

3²) მოცულობითი სპირტშემცველობა/ფაქტობრივი სპირტშემცველობა - ეთილის სპირტის მოცულობითი რაოდენობა პროდუქტის 100 მოცულობით ერთეულში 20°C ტემპერატურაზე;

3³) აქროლადი ნივთიერებების შემცველობა – სპირტიან სასმელში აქროლადი ნივთიერებების ის რაოდენობა, გარდა ეთილის სპირტისა (ეთანოლი) და მეთილის სპირტისა (მეთანოლი), რომელიც მიიღება მხოლოდ დისტილაციის გზით;

3⁴) მაცერაცია - მცენარეული წარმოშობის ქსოვილების (მთლიანი მცენარე ან/და მცენარის ნაწილები) დაყოვნება თხევად გამხსნელში (წყალი, ზეთ(ებ)ი, ეთილის სპირტი, ან/და სპირტის წყალხსნარი) ხსნადი ნივთიერებების ექსტრაქციის მიზნით;

3⁵) ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა - ქიმიური ნივთიერებ(ებ)ის მაქსიმალური კონცენტრაციის ზედა დასაშვები დონე, რომელიც შეიძლება არსებობდეს მზა სპირტიან სასმელში წარმოების, გადამუშავების ან/და დამუშავების ეტაპების შემდეგ და რომელიც რისკს არ უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

2. ამ წესის მიზნებისათვის, ასევე გამოიყენება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ტერმინები.

მუხლი 3. ზოგადი მოთხოვნები სპირტიანი სასმელების მიმართ

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის სპირტიანი სასმელი წარმოადგენს ალკოჰოლიან სასმელს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) განკუთვნილია ადამიანის მიერ მოხმარებისთვის;
- ბ) აქვს განსაკუთრებული ორგანოლეპტიკური თვისებები;
- გ) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 15%-ს, გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N 1-ის 38-ე კატეგორიით განსაზღვრული სპირტიანი სასმელებისა;
- დ) წარმოებულია:
 - დ.ა) ან უშუალოდ, ინდივიდუალურად ან კომბინირებულად ნებისმიერი შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

დ.ა.ა) ფერმენტირებული ნედლეულის დისტილაციით, არომატიზატორების ან არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის დამატებით ან მათი დამატების გარეშე;

დ.ა.ბ) მცენარეული მასალის მაცერაციით ან მსგავსი დამუშავებით სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტში, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატებში ან სპირტიან სასმელებში ან მათ კომბინაციაში;

დ.ა.გ) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის სპირტზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატზე ან სპირტიან სასმელებზე ინდივიდუალურად ან კომბინაციაში ნებისმიერი შემდეგი კომპონენტის დამატებით:

დ.ა.გ.ა) არომატიზატორები, რომლებიც გამოიყენება „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №497 -ის შესაბამისად;

დ.ა.გ.ბ) საღებავები, რომლებიც გამოიყენება „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №585-ის შესაბამისად;

დ.ა.გ.გ) სხვა დაშვებული ინგრედიენტები „ტექნიკური რეგლამენტი – სურსათში/სურსათზე გამოსაყენებელი არომატიზატორებისა და არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის ინგრედიენტების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №497 -ის და „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №585-ის შესაბამისად;

დ.ა.გ.დ) დამატებობელი პროდუქტები;

დ.ა.გ.ე) სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები;

დ.ა.გ.ვ) სხვა სასურსათო პროდუქტები;

დ.ბ) ინდივიდუალურად ან კომბინირებულად მათზე ნებისმიერი შემდეგი კომპონენტების დამატებით:

დ.ბ.ა.) სხვა სპირტიანი სასმელები;

დ.ბ.ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტი;

დ.ბ.გ) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატი;

დ.ბ.დ) სხვა სასურსათო პროდუქტები;

ე) სპირტიან სასმელს არ მიეკუთვნება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო პოზიცია (სეს ესნ) შესაბამისად განსაზღვრული შემდეგი ჯგუფები:

ე.ა) 2203 ჯგუფი – ალაოს ლუდი;

ე.ბ) 2204 ჯგუფი – ღვინოები ყურძნის ნატურალური, შემაგრებული ღვინოების ჩათვლით; ყურძნის ტკბილი, 2009 სასაქონლო პოზიციაში მითითებულის გარდა;

ე. გ) 2205 ჯგუფი – ვერმუტები და ყურძნის სხვა ნატურალური ღვინოები, მცენარეული ან არომატული ექსტრაქტების დამატებით;

ე. დ) 2206 ჯგუფი – სხვა დადუღებული სასმელები (მაგალითად, სიდრი, პერი (მსხლის სიდრი), თაფლის სასმელი), ნარევები დადუღებული სასმელებისაგან და დადუღებული სასმელებისა და უალკოჰოლო სასმელების ნარევები;

ე.ე) 2207 ჯგუფი – ეთილის სპირტი არადენატურირებული, სპირტის კონცენტრაციით (მოცულობითი სპირტშემცველობა) 80 მოც.% ან მეტი, ეთილის სპირტი და სხვა დენატურირებული სპირტები ნებისმიერი კონცენტრაციით.

ვ) თუ სპირტიანი სასმელების წარმოებაში გამოყენებულია გამოხდილი, ან დემინერალიზებული ან პერმუტირებული (წყალი, რომელიც გათავისუფლდა კალციუმის და მაგნიუმის იონებისგან) ან დარბილებული წყალი:

ვ.ა) გამოყენებული წყლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სასმელ წყალთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს;

ვ.ბ) სპირტიანი სასმელის სიმაგრე, წყლის დამატების შემდეგ, კვლავ უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მინიმალურ მოცულობით სპირტშემცველობას ან დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების შესაბამისი კატეგორიის მოცულობით სპირტშემცველობას.

მუხლი 4. მოთხოვნები სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის სპირტის მიმართ

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისთვის სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტი წარმოადგენს სითხეს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მისი მიღება ხდება მხოლოდ სპირტული დუღილით/ალკოჰოლური ფერმენტაციით და შემდგომი დისტილაციით მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან, რომელიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით;

ბ) არ უნდა ჰქონდეს სხვა შესამჩნევი გემო, გარდა მის წარმოებაში გამოყენებული ნედლეულის გემოსი;

გ) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 96,0%-ს;

დ) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა გრამებში შეადგენს:

დ.ა) ეთილაცეტატი - 0,013 გ;

დ.ბ) აცეტალდეჰიდი (ეთანალის და 1,1 დიეტოქსინეთანის ჯამი) - 0,005 გ;

დ.გ) უმაღლესი სპირტები (პროპან-1-ოლის, ბუთან-1-ოლის, 2-მეთილპროპან-1-ოლის, 2 - მეთილბუთან-1-ოლის და 3-მეთილბუთან -1-ოლის ჯამი) - 0,005 გ;

დ.დ) მეთანოლი - 0,3 გ;

დ.ე) ფურფუროლი - 0,005 გ.

მუხლი 5. მოთხოვნები ალკოჰოლიან სასმელებში გამოყენებული ეთილის სპირტისა და დისტილატების მიმართ

1. სპირტიანი სასმელების წარმოებისათვის დასაშვებია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის გამოყენება.

2. სპირტიანი სასმელების წარმოებაში, საღებავების, არომატიზატორების ან სხვა დაშვებული ინგრედიენტების განზავების ან გახსნისათვის დაუშვებელია სხვა ნებისმიერი სპირტის გამოყენება, გარდა სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატისა და ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის პირველიდან მე-13 - ის ჩათვლით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების კატეგორიებისა. საღებავების, არომატიზატორების და სხვა ნებისმიერი დაშვებული ინგრედიენტების განზავების ან გახსნისათვის გამოყენებული ასეთი სპირტი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ მიზნისთვის საჭირო რაოდენობით.

3. ალკოჰოლიანი სასმელები არ უნდა შეიცავდეს სინთეზური წარმოშობის ალკოჰოლს ან სხვა არასასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ალკოჰოლს.

4. სპირტიანი სასმელების წარმოებისათვის გამოყენებული დისტილატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) მარცვლოვნების დისტილატის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 52,0%-ს, ხოლო მაქსიმალური - 94,8%-ს;

ბ) მარცვლოვნების დისტილატის ყოველ ერთ ლიტრში ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს:

ბ.ა) რთული ეთერები - ეთილაცეტატზე გადაანგარიშებით 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში - 0,05 – 1,50 გ -ს;

ბ.ბ) ალდეჰიდები - აცეტალდეჰიდზე გადაანგარიშებით 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში - 0,01 – 0,35 გ-ს;

ბ.გ) უმაღლესი სპირტები - მეთილ 2 პროპანოლ 1 (იზობუთანოლი, იზობუთანოლის სპირტი) -ზე გადაანგარიშებით 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში - 0,5 – 6,0 გ-ს;

ბ.დ) მეთანოლი - 100% - იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში - არაუმეტეს 0,5 გ-ს;

ბ.ე) ფურფუროლი - 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში - არაუმეტეს 0,03 გ-ს;

გ.ვ) რკინა - არაუმეტეს 1,0 მგ/ლ.

გ) ხილის დისტილატის მოცულობითი სპირტმემცველობა უნდა შეადგენდეს არაუმეტეს - 86,0 %-ს;

დ) ხილის დისტილატის ყოველ ერთ ლიტრში ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს:

დ.ა) აქროლადი ნაერთების მასური კონცენტრაცია 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში - არანაკლებ 2,0 გ-ს;

დ.ბ) ფურფუროლი - 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში - არაუმეტეს - 0,03 გ-ს;

დ.გ) გოგირდის დიოქსიდის საერთო მასური კონცენტრაცია ყოველ ერთ ლიტრში - არაუმეტეს 45,0 მგ-ს;

დ.დ) რკინა - არაუმეტეს 1,5 მგ/ლ.

მუხლი 6. სპირტიანი სასმელების კატეგორიები

1. სპირტიანი სასმელების კატეგორიზაცია ხდება ამ მუხლით დადგენილი ზოგადი წესებისა და ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სპეციალური წესების შესაბამისად.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1- ის პირველიდან 13-ის ჩათვლით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების თითოეული კატეგორიისთვის დადგენილი სპეციალური წესების გათვალისწინებით, ამ კატეგორიის სპირტიანი სასმელები:

ა) წარმოებული უნდა იყოს სპირტული დუღილით /ალკოჰოლური ფერმენტაციით, შემდგომი დისტილაციით და მხოლოდ იმ სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გამოყენებით, რომელიც განსაზღვრულია სპირტიანი სასმელების შესაბამისი კატეგორიისათვის;

ბ) არ უნდა ჰქონდეს დამატებული განზავებული ან განუზავებელი ალკოჰოლი;

გ) არ უნდა იყოს არომატიზებული;

დ) შეფერვისათვის დასაშვებია მხოლოდ კარამელის დამატება, რომელიც გამოიყენება ამ სპირტიანი სასმელების ფერის კორექტირებისთვის;

ე) არ უნდა იყოს დამტკბარი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა პროდუქტის საბოლოო გემოს ფორმირება. დამატებელი პროდუქტების მაქსიმალური შემცველობა, გამოხატული ინვერსიული შაქრის სახით, არ უნდა აღემატებოდეს თითოეული კატეგორიის სასმელისათვის დანართი N1-ით განსაზღვრულ მაქსიმალურ ზღვარს;

ვ) არ უნდა შეიცავდეს დანამატებს, გარდა იმ ნედლეულის მთლიანი, დაუმუშავებელი ნაწილებისა, საიდანაც მიიღება სპირტი და რომელიც ძირითადად გამოიყენება დეკორატიული მიზნებისათვის.

3. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1- ის მე-14-43-ე სპირტიანი სასმელების თითოეული კატეგორიისთვის დადგენილი სპეციალური წესების გათვალისწინებით, ამ კატეგორიის სპირტიანი სასმელები შესაძლებელია:

ა) წარმოებული იყოს ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის გამოყენებით;

ბ) სპირტიან სასმელებს დამატებული ჰქონდეს ალკოჰოლი;

გ) შეიცავდეს არომატიზირებულ ნივთიერებებს, ბუნებრივ არომატულ ნივთიერებებს, არომატულ პრეპარატებს და არომატიზატორის თვისებების მქონე სურსათს;

დ) იყოს შეფერილი

ე) იყოს დამტკბარი.

4. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N2 - ით „სპეციფიკური წესები ზოგიერთ სპირტიან სასმელებთან დაკავშირებით“ დადგენილი სპეციალური წესების გათვალისწინებით, სპირტიანი სასმელები, რომლებიც არ შეესაბამებიან დანართი N1- ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების კატეგორიებისთვის დადგენილ კონკრეტულ წესებს, შესაძლებელია:

ა) წარმოებული იყოს ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო ნედლეულიდან, ნებისმიერი სასურსათო პროდუქტიდან ან ორივედან;

ბ) დამატებული ჰქონდეს ალკოჰოლი;

გ) იყოს არომატიზებული;

დ) იყოს შეფერილი;

ე) იყოს დამტკბარი.

მუხლი 7. წარდგენა და ეტიკეტირება

ბაზარზე განთავსებული სპირტიანი სასმელების აღნიშვნა, წარდგენა და ეტიკეტირება უნდა განხორციელდეს „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებით და ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მუხლი 8. სპირტიანი სასმელების ოფიციალური დასახელება

1. სპირტიანი სასმელის დასახელება არის მისი ოფიციალური დასახელება, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს სპირტიანი სასმელების აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირებისას.

2. ოფიციალური დასახელება მკაფიოდ და თვალსაჩინოდ უნდა იქნეს მითითებული სპირტიანი სასმელის ეტიკეტზე. დაუშვებელია ოფიციალური დასახელების შეცვლა და ჩანაცვლება.

3. სპირტიანი სასმელებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების კატეგორიებისთვის დადგენილ მოთხოვნებს, ოფიციალურ დასახელებას წარმოადგენს ამ კატეგორიის დასახელება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს კატეგორია არ უშვებს სხვა ოფიციალური დასახელების გამოყენებასაც.

4. სპირტიანი სასმელისათვის, რომელიც არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების რომელიმე კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს, მაგრამ აკმაყოფილება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ოფიციალურ დასახელებად გამოყენებული უნდა იქნეს „სპირტიანი სასმელი“.

5. სპირტიანი სასმელი, რომელიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების ერთზე მეტი კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ბაზარზე შესაძლებელია განთავსებული იქნეს ერთი ან რამდენიმე ოფიციალური დასახელებით, რომელიც დანართი N1-ის შესაბამისად, ამ კატეგორიებისთვის არის დადგენილი.

6. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, სპირტიანი სასმელის:

ა) ოფიციალურ დასახელებას შეიძლება დაემატოს ან ჩანაცვლდეს გეოგრაფიული აღნიშვნით, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-17 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ამ შემთხვევაში, გეოგრაფიულ აღნიშვნას შესაძლებელია დამატებით დამატებული ჰქონდეს ნებისმიერი ტერმინი, რომელიც დაშვებულია პროდუქტის სპეციფიკაციების შესაბამისად, იმ პირობით, რომ მომხმარებელი შეცდომაში არ იქნება შეყვანილი;

ბ) ოფიციალური დასახელება შესაძლებელია ჩანაცვლებული იქნეს შედგენილი ტერმინით, რომლებიც შეიცავს ტერმინებს „ლიქიორი“ ან „კრემი“ („ნაღები“) იმ პირობით, რომ საბოლოო/მზა პროდუქტი აკმაყოფილებს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1 -ის 32-ე კატეგორიით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

7. „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებით და ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების კატეგორიებისათვის კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით, სპირტიანი სასმელების ოფიციალურ დასახელებას შესაძლებელია დამატებული ჰქონდეს:

ა) დასახელება ან გეოგრაფიული ადგილის მითითება, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით და რომლითაც სპირტიანი სასმელი განთავსებულია ბაზარზე, იმ პირობით რომ აღნიშნული შეცდომაში არ შეიყვანს მომხმარებელს;

ბ) ჩვეული დასახელება, როგორც ეს განსაზღვრულია „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებით, იმ პირობით რომ აღნიშნული შეცდომაში არ შეიყვანს მომხმარებელს;

გ) შედგენილი ტერმინი ან მითითება/მინიშნება ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 და მე-10 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

დ) ტერმინი „კუპაჟი“, „კუპაჟირება“ ან „კუპაჟირებული“, იმ პირობით, რომ სპირტიანი სასმელი დაექვემდებარა კუპაჟირებას;

ე) ტერმინი „ნარევი“, „შერეული“ ან „შერეული სპირტიანი სასმელი“ იმ პირობით, რომ სპირტიანი სასმელი დაექვემდებარა შერევას;

ვ) ტერმინი „მშრალი“ ან „მშრალი“, გარდა იმ სპირტიანი სასმელებისა, რომლებიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის მე-2 კატეგორიით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ამავე დანართის მე -19 – 21-ე კატეგორიის სპირტიანი სასმელებისათვის განსაზღვრული კონკრეტული მოთხოვნების გათვალისწინებით იმ პირობით, რომ სპირტიანი სასმელი არ დაექვემდებარა დატკობას, თუნდაც გემოს ფორმირებისათვის. ტერმინი „მშრალი“ ან „მშრალი“ შეიძლება დაემატოს იმ სპირტიანი სასმელების ოფიციალურ დასახელებას, რომლებიც შეესაბამება 32-ე კატეგორიის მოთხოვნებს და, შესაბამისად, დამტკობარია;

8. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 და მე-10 მუხლების და მე-11 მუხლის მე-2-6-ე ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, დაუშვებელია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოფიციალური დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება იმ სპირტიანი სასმელების აღწერის, წარდგენასა ან ეტიკეტირებაში, რომელიც არ შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ში მოცემული სპირტიანი სასმელის შესაბამისი კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს ან „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებს. დაუშვებელია ასევე ოფიციალური დასახელების ან გეოგრაფიული აღნიშვნის გამოყენება ისეთ სიტყვებთან ან ფრაზებთან ერთად, როგორცაა „მსგავსი“, „ტიპი“, „სტილი“, „დამზადებული“, „არომატი“ ან სხვა მსგავსი ტერმინები.

9. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, არომატიზატორები, რომლებიც ახდენენ სპირტიან სასმელის იმიტაციას ან მათი გამოყენებისას სურსათის

წარმოებაში (გარდა სასმელებისა), წარდგენისა და ეტიკეტირებისას შეიძლება შეიცავდნენ მითითებებს ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული ოფიციალური დასახელებაზე, იმ პირობით, რომ ამ ოფიციალურ დასახელებას დამატებული აქვს ტერმინი „არომატი“ ან სხვა მსგავსი ტერმინი. გეოგრაფიული აღნიშვნები არ უნდა იქნას გამოყენებული ასეთი არომატიზატორების აღნიშვნისას.

მუხლი 9. შედგენილი ტერმინები

1. ალკოჰოლური სასმელის აღწერის, წარდგენის და ეტიკეტირებისას დასაშვებია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით დადგენილი სპირტიანი სასმელების კატეგორიებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასახელების ან სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნის შედგენილ ტერმინში გამოყენება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) ალკოჰოლური სასმელის წარმოებაში გამოყენებული ალკოჰოლი წარმოშობილია ექსკლუზიურად იმ სპირტიანი სასმელისგან, რომელიც მითითებულია შედგენილ ტერმინში, გარდა იმ ალკოჰოლისა, რომელსაც შეიძლება შეიცავდეს ამ სპირტიანი სასმელის წარმოებისთვის გამოყენებული არომატიზატორები, საღებავები ან სხვა დაშვებული ინგრედიენტები;

ბ) სპირტიანი სასმელი არ განზავებულია მხოლოდ წყლის დამატებით, ისე, რომ მისი სპირტშემცველობა ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1 - ში მოცემული შესაბამისი კატეგორიით განსაზღვრულ სპირტიანი სასმელის მინიმალურ სპირტშემცველობაზე/ფაქტობრივ სპირტშემცველობაზე დაბალია.

2. ოფიციალურ დასახელებასთან დაკავშირებული, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ტერმინები „ალკოჰოლი“, „სპირტი“, „სასმელი“, „სპირტიანი სასმელი“ და „წყალი“ არ უნდა იყოს იმ შედგენილი ტერმინის ნაწილი, რომელიც აღნიშნავს/აღწერს ალკოჰოლიან სასმელს.

3. შედგენილი ტერმინი, რომელიც აღნიშნავს/აღწერს ალკოჰოლურ სასმელს, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გამოსახული უნდა იქნეს ერთი და იგივე შრიფტით, შრიფტის ზომითა და ფერით;

ბ) არ იქნეს მასში ჩართული რაიმე ტექსტური ან გამოსახულებითი ელემენტი, რომელიც არ წარმოადგენს შედგენილი ტერმინის ნაწილს;

გ) არ უნდა იქნეს ისეთი დიდი ზომის შრიფტით გამოსახული, რომელიც აღემატება ალკოჰოლური სასმელის დასახელებისთვის გამოყენებული შრიფტის ზომას;

დ) იმ შემთხვევაში, თუ ალკოჰოლური სასმელი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, მას ყოველთვის უნდა ახლდეს სპირტიანი სასმელის ოფიციალური

დასახელება, რომელიც გამოსახული უნდა იქნეს იმავე მხედველობის არეში, სადაც მითითებულია შედგენილი ტერმინი, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ოფიციალური დასახელება არ არის შეცვლილი შედგენილი ტერმინით ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესამაბისად.

მუხლი 10. მითითებები/მინიშნებები

1. სასურსათო პროდუქტის წარდგენისა და ეტიკეტირებისას, რომელიც არ წარმოადგენს ალკოჰოლურ სასმელს, დასაშვებია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული ერთი ან რამდენიმე კატეგორიის სპირტიანი სასმელის ოფიციალური დასახელების მითითება/მინიშნება ან სპირტიანი სასმელის ერთი ან რამდენიმე გეოგრაფიული აღნიშვნის მითითება/მინიშნება იმ პირობით, რომ სპირტი, რომელიც გამოყენებულია ამ სასურსათო პროდუქტის წარმოებაში, წარმოშობილია მხოლოდ მითითებაში/მინიშნებაში მოცემული სპირტიანი სასმელის ან სპირტიანი სასმელებისგან, გარდა სპირტისა, რომელიც შესაძლებელია არსებობდეს იმ არომატიზატორებში, საღებავებში ან სხვა დასაშვებ ინგრედიენტებში, რომელიც გამოყენებულია ამ სასურსათო პროდუქტის წარმოებისათვის.

2. ალკოჰოლური სასმელების წარდგენისა და ეტიკეტირებისას, რომლებიც არ წარმოადგენენ სპირტიან სასმელებს, მითითება/მინიშნება ოფიციალურ დასახელებაზე, რომლებიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1- მოცემულ სპირტიანი სასმელების ერთი ან მეტ კატეგორიისათვის, ან ერთ ან რამდენიმე გეოგრაფიული აღნიშვნაზე, დასაშვებია შემდეგი პირობების დაცვით:

ა) ალკოჰოლის დამატება ხდება მხოლოდ იმ სპირტიანი სასმელიდან ან სპირტიანი სასმელებიდან, რომელიც მოცემულია მითითებაში/მინიშნებაში;

ბ) თითოეული ალკოჰოლური ინგრედიენტის რაოდენობა (წილი), კლებადობის მიხედვით, მოცემულია იმავე მხედველობის არეში, სადაც არის მითითება/მინიშნება. ეს რაოდენობა (წილი) უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო/მზა პროდუქტის საერთო ალკოჰოლის შემცველობაში ამ სპირტიანი სასმელ(ებ)ის სუფთა ალკოჰოლის პროცენტულ შემცველობას.

3. სპირტიანი სასმელის აღწერის, წარდგენასა და ეტიკეტირებაში, რომელიც აკმაყოფილებს დანართი N1-ის 32 - 39-ე კატეგორიების სპირტიანი სასმელებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, მითითება/მინიშნება ოფიციალურ დასახელებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დანართში მოცემული სპირტიანი სასმელების ერთი ან მეტი კატეგორიით, ან სპირტიანი სასმელების ერთი ან მეტი გეოგრაფიული აღნიშვნით, დასაშვებია იმ პირობით, რომ:

ა) ალკოჰოლის დამატება ხდება მხოლოდ იმ სპირტიანი სასმელიდან ან სპირტიანი სასმელებიდან, რომელიც მოცემულია მითითებაში/მინიშნებაში;

ბ) თითოეული ალკოჰოლური ინგრედიენტის რაოდენობა (წილი), კლებადობის მიხედვით, მოცემულია იმავე მხედველობის არეში, სადაც არის მითითება/მინიშნება. ეს რაოდენობა (წილი) უნდა შეესაბამებოდეს საბოლოო/მზა პროდუქტის საერთო ალკოჰოლის შემცველობაში ამ სპირტიანი სასმელ(ებ)ის სუფთა ალკოჰოლის პროცენტულ შემცველობას.

გ) ტერმინი „კრემი“ („ნალები“), არ უნდა იქნეს გამოყენებული იმ სპირტიანი სასმელების ოფიციალურ დასახელებაში, რომლებიც შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის 32-39-ე კატეგორიების სპირტიან სასმელ(ებ)ს ან მითითებაში/მინიშნებაში აღნიშნულ სპირტიანი სასმელ(ებ)ის ოფიციალურ დასახელებაში.

4. სპირტიანი სასმელის აღწერის, წარდგენასა და ეტიკეტირებაში, გარდა ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის 32-39-ე კატეგორიების სპირტიანი სასმელებისა, მითითება/მინიშნება ოფიციალურ დასახელებებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დანართში მოცემული სპირტიანი სასმელების ერთი ან მეტი კატეგორიით, ან სპირტიანი სასმელების ერთი ან მეტი გეოგრაფიული აღნიშვნით, დასაშვებია ამ პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, იმ პირობით, რომ:

ა) მითითებაში/მინიშნებაში აღნიშნული სპირტიანი სასმელი:

ა.ა) საბოლოო/მზა სპირტიანი სასმელის წარმოებაში გამოყენებული იქნა როგორც ერთადერთი ალკოჰოლური ფუძე (საფუძველი) და რომელიც უნდა შეესაბამებოდეს დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელის მოთხოვნებს;

ა.ბ) არ იქნა შერეული სხვა სასურსათო პროდუქტში, გარდა იმ სასურსათო პროდუქტისა, რომელიც გამოიყენება მის წარმოებაში ან საბოლოო სპირტიანი სასმელის წარმოებაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სპეციფიკაციების ან პროდუქტის სათანადო სპეციფიკაციების შესაბამისად;

ა.გ) არ იქნა განზავებული წყლის დამატებით იმგვარად, რომ ალკოჰოლური სასმელის მოცულობითი სპირტშემცველობა იმ მინიმალურ სიმაგრეზე ნაკლებია, რაც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრულ სპირტიანი სასმელების კატეგორიებისთვის ან იმ გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტის სპეციფიკაციებით, რომელიც მოცემულია მითითებაში/მინიშნებაში;

ბ) სპირტიანი სასმელი დავარგების მთელი პერიოდის განმავლობაში, ან მისი ნაწილი ინახებოდა ხის კასრში, რომელიც ადრე გამოიყენებოდა მითითებული სპირტიანი სასმელის დავარგებისათვის, იმ პირობით, რომ:

ბ.ა) ხის კასრი სრულად დაცლილია წინა შიგთავსისგან იმ სპირტიანი სასმელების კატეგორიებისთვის ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული სპირტიანი სასმელებისათვის, რომელთათვისაც აკრძალულია განზავებული ან განუზავებელი ალკოჰოლის დამატება;

ბ.ბ) მითითება/მინიშნება კეთდება მიღებული სპირტიანი სასმელის დავარგებისთვის გამოყენებული კასრის აღწერაში;

ბ.გ) მითითება/მინიშნება ნაკლებად თვალსაჩინოა, ვიდრე სპირტიანი სასმელის ოფიციალური დასახელება ან გამოყენებული ნებისმიერი შედგენილი ტერმინი;

ბ.დ) ამ მუხლის მე-5 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტიდან გამონაკლისის სახით, მითითება/მინიშნება მოცემულია ისეთი ზომის შრიფტით, რომელიც არ აღემატება სპირტიანი სასმელის ოფიციალური დასახელების ან გამოყენებული ნებისმიერი შედგენილი ტერმინის შრიფტის ზომას.

5. ამ მუხლის პირველი, მე-2-4-ე პუნქტებით განსაზღვრული მითითებები/მინიშნებები:

ა) არ უნდა იყოს იმავე ხაზზე, რომელზედაც მოცემულია ალკოჰოლური სასმელის დასახელება;

ბ) გამოსახული უნდა იყოს შრიფტის ისეთი ზომით, რომელიც არ აღემატება ალკოჰოლური სასმელის დასახელებისათვის გამოყენებული შრიფტის ზომის ნახევარს, ხოლო შედგენილი ტერმინის გამოყენების შემთხვევაში, შრიფტის ზომით, რომელიც არ აღემატება ასეთი შედგენილი ტერმინებისთვის გამოყენებული შრიფტის ზომის ნახევარს, ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) სპირტიანი სასმელების აღწერის, წარდგენასა და ეტიკეტირებისას, მითითებების/მინიშნებების შემთხვევაში, ყოველთვის მოცემული უნდა იქნეს სპირტიანი სასმელის ოფიციალური დასახელება, რომელიც გამოსახული უნდა იქნეს იმავე მხედველობის არეში, რომელშიც მოცემულია მითითება/მინიშნება.

მუხლი 11. დამატებითი წესები აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირების მიმართ

1. სპირტიანი სასმელის აღწერა, წარდგენა ან ეტიკეტირება შეიძლება მიუთითებდეს ნედლეულზე, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ან სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატების დასამზადებლად, რომლებიც გამოიყენება ამ სპირტიანი სასმელის წარმოებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ეთილის სპირტი ან ეს დისტილატები მიღებულ იქნა მხოლოდ ამ ნედლეულიდან. ასეთ შემთხვევაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის თითოეული ტიპი ან სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის

დისტილატი მითითებული უნდა იყოს მოცულობითი სპირტშემცველობის რაოდენობის კლებადობის მიხედვით.

2. ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლით განსაზღვრული ოფიციალური დასახელებები შეიძლება შეტანილ იქნეს სურსათის ინგრედიენტების ჩამონათვალში, თუ ეს ჩამონათვალი აკმაყოფილებს „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილების მე-17-21-ე მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3. ნარევის შემთხვევაში, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრულ სპირტიანი სასმელების კატეგორიებისთვის განსაზღვრული ოფიციალური დასახელებები ან სპირტიანი სასმელების გეოგრაფიული აღნიშვნები შეიძლება მიეთითოს მხოლოდ ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალში, იმავე ხედვის არეში, სადაც მითითებულია სპირტიანი სასმელის ოფიციალური დასახელება. ამასთან:

ა) ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალს თან უნდა ახლდეს სულ მცირე ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთერთი ტერმინი. როგორც ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალი, ისე თანმხლები ტერმინი მითითებული უნდა იქნეს იმავე ხედვის არეში, სადაც მითითებულია ნარევის ოფიციალური დასახელება, ერთნაირი ზომისა და ფერის მსგავსი შრიფტით, რომელიც ზომით არ იქნება ოფიციალური დასახელების შრიფტის ზომის ნახევარზე მეტი ზომის;

ბ) ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალში, თითოეული ალკოჰოლური ინგრედიენტის რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს მათი პროცენტული შემცველობის შესაბამისად კლებადობის მიხედვით. ეს რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ნარევის საერთო სპირტშემცველობაში ამ ინგრედიენტის საერთო სპირტშემცველობის პროცენტულ რაოდენობას.

4. კუპაჟის შემთხვევაში, სპირტიან სასმელს უნდა ჰქონდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის შესაბამისი კატეგორიის სპირტიანი სასმელისთვის განსაზღვრული ოფიციალური დასახელება.

5. კუპაჟის შემთხვევაში, როდესაც ხდება სხვადასხვა გეოგრაფიული აღნიშვნის მქონე სპირტიანი სასმელების შერევა ან ისეთი სპირტიანი სასმელების კომბინაცია, რომლებიც მიეკუთვნებიან გეოგრაფიული აღნიშვნის მქონე და გეოგრაფიული აღნიშვნის არ მქონე სპირტიან სასმელებს, დაკმაყოფილებული უნდა იქნეს შემდეგი მოთხოვნები:

ა) კუპაჟის აღწერა, წარდგენა ან ეტიკეტი შეიძლება შეიცავდეს დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების კატეგორიების ოფიციალურ დასახელებას, ან გეოგრაფიულ აღნიშვნას შერეულს სპირტიან სასმელთან, იმ პირობით, რომ:

ა.ა) კუპაჟში არსებული ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალი მითითებული უნდა იქნეს ერთნაირი ზომის და ფერის შრიფტით, რომელიც ზომით არ აღემატება ოფიციალური დასახელებისათვის გამოყენებული შრიფტის ზომის ნახევარს;

ა.ბ) განთავსებული უნდა იქნეს იმავე ხედვის არეალში, რომელშიც განთავსებულია კუპაჟის ოფიციალური დასახელება;

ბ) ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალს თან უნდა ახლდეს ამ სულ მცირე, ტექნიკური რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-7 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ერთერთი ტერმინი;

გ) ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალში, თითოეული ალკოჰოლური ინგრედიენტის რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს მათი პროცენტული შემცველობის შესაბამისად კლებადობის მიხედვით. ეს რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს კუპაჟის საერთო სპირტშემცველობაში ამ ინგრედიენტის სპირტშემცველობის პროცენტულ რაოდენობას.

6. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, თუ ნარევი შეესაბამება ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით განსაზღვრული სპირტიანი სასმელის ერთი კატეგორიისათვის დადგენილ მოთხოვნებს, ამ ნარევს უნდა ჰქონდეს ამ შესაბამისი კატეგორიის სპირტიანი სასმელის ოფიციალური დასახელება.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, ნარევის აღწერა, წარდგენა ან ეტიკეტი შეიძლება შეიცავდეს ოფიციალურ დასახელებას, რომელიც მოცემულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ში, ან შერეული სპირტიანი სასმელების შესაბამის გეოგრაფიულ აღნიშვნას, იმ პირობით, რომ ეს დასახელებები მითითებულია შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა) ნარევი არსებული ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალი მითითებული უნდა იქნეს ერთნაირი ზომის და ფერის შრიფტით, რომელიც ზომით არ აღემატება ოფიციალური დასახელებისათვის გამოყენებული შრიფტის ზომის ნახევარს;

ბ) განთავსებული უნდა იქნეს იმავე ხედვის არეალში, რომელშიც განთავსებულია ნარევის ოფიციალური დასახელება;

გ) ალკოჰოლური ინგრედიენტების ჩამონათვალში, თითოეული გამოყენებული ალკოჰოლური ინგრედიენტის რაოდენობა მითითებული უნდა იქნეს მათი პროცენტული შემცველობის შესაბამისად კლებადობის მიხედვით. ეს რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ნარევის საერთო სპირტშემცველობაში ამ ინგრედიენტის სპირტშემცველობის პროცენტულ რაოდენობას.

8. იმ მცენარეული ნედლეულის დასახელება, რომელიც გამოიყენება გარკვეული კატეგორიის სპირტიანი სასმელის ოფიციალურ დასახელებად, არ უნდა ზღუდავდეს ამ მცენარეული ნედლეულის დასახელების გამოყენებას სხვა სასურსათო

პროდუქტების წარდგენასა და ეტიკეტირებისას. ასეთი ნედლეულის დასახელებები შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა სპირტიანი სასმელების აღწერაში, წარდგენასა ან ეტიკეტირებაში, იმ პირობით, რომ ამგვარ გამოყენებას შეცდომაში არ შეჰყავს მომხმარებელი.

9. დავარგების ან დაძველების პერიოდი შეიძლება მითითებული იქნეს სპირტიანი სასმელის აღწერაში, წარდგენასა ან ეტიკეტში, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ეხება სპირტიანი სასმელის ყველაზე ახალგაზრდა ალკოჰოლურ კომპონენტს და ნებისმიერ შემთხვევაში იმ პირობით, რომ სპირტიანი სასმელის დაძველების ყველა ოპერაცია განხორციელებულია შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს ზედამხედველობის ქვეშ.

მუხლი 12. წარმოშობის ადგილის მითითება

1. თუ წარმოშობის ადგილი, გარდა გეოგრაფიული აღნიშვნისა ან სასაქონლო ნიშნისა, მითითებულია სპირტიანი სასმელის აღწერაში, წარდგენაში ან ეტიკეტზე, ის უნდა შეესაბამებოდეს იმ ადგილს ან რეგიონს, სადაც განხორციელდა წარმოების პროცესის ის ეტაპი, რომელიც განსაზღვრავს მზა სპირტიან სასმელს მის ბუნებას და ანიჭებს მას ხარისხის ძირითად მახასიათებლებს.

2. ძირითადი ინგრედიენტის წარმოშობის ქვეყნის ან წარმოშობის ადგილის მითითება, როგორც ეს განსაზღვრულია „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის N301 დადგენილებით, არ არის საჭირო სპირტიანი სასმელებისთვის.

მუხლი 13. სპირტიანი სასმელების დასახელებისთვის გამოყენებული ენა

1. ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ით და დანართი N2-ით - „სპეციფიკური წესები ზოგიერთ სპირტიან სასმელებთან დაკავშირებით“ განსაზღვრული ტერმინები და გეოგრაფიული აღნიშვნები კურსივით (დახრილი შრიფტით) არ ითარგმნება არც ეტიკეტზე და არც სპირტიანი სასმელების აღწერასა და წარდგენაში.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტიდან გადახვევით, ევროკავშირში წარმოებული და ექსპორტისთვის განკუთვნილი სპირტიანი სასმელების შემთხვევაში, პირველ პუნქტში მითითებულ ტერმინებსა და გეოგრაფიულ აღნიშვნებს შეიძლება ახლდეს თარგმანი, ტრანსკრიფცია ან ტრანსლიტერაცია, იმ პირობით, რომ ასეთი ტერმინები და გეოგრაფიული აღნიშვნები ორიგინალ ენაზე არ არის გადაფარული.

მუხლი 14. ტყვიის შემცველი კაფსულებისა და ტყვიის შემცველი ფოლგის აკრძალვა

დაუშვებელია სპირტიანი სასმელების ბაზარზე განთავსება ან რეალიზაცია ჭურჭელში, რომელიც დახურულია ტყვიის შემცველი ფოლგის ან ტყვიის კაფსულების შემცველი თავსახურით/საცობით.

მუხლი 15. ანალიზის რეფერენტული (საცნობარო) მეთოდები

1. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ეთილის სპირტის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის ან სპირტიანი სასმელების ამ ტექნიკურ რეგლამენტთან შესაბამისობის დადასტურებისათვის გამოყენებული ანალიზის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისოდ აღიარებულ ანალიზის რეფერენტული (საცნობარო) მეთოდებს, რომლებითაც ხორციელდება მათი ქიმიური, ფიზიკური და ორგანოლეპტიკური თვისებების განსაზღვრა.

2. დასაშვებია ანალიზის სხვა მეთოდების გამოყენება, ლაბორატორიის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობით, იმ პირობით, თუ მეთოდების სიზუსტე, განმეორებადობა და აღწარმოება უნდა იყოს საერთაშორისოდ აღიარებული ანალიზის მეთოდების ექვივალენტური.

3. თუ არ არსებობს საერთაშორისოდ აღიარებული ანალიზის მეთოდები კონკრეტულ სპირტიან სასმელში არსებული ნივთიერების აღმოჩენისა და რაოდენობრივი განსაზღვრისათვის, გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი ერთი ან რამდენიმე მეთოდი:

ა) ანალიზის მეთოდები, რომლებიც ნამდვილად იქნა აღიარებული საერთაშორისო პროცედურებით და რომლებიც აკმაყოფილებს „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №24 -ის დანართი N2-ით „გამოკვლევის მეთოდების დახასიათება“ განსაზღვრულ კრიტერიუმებს;

ბ) ანალიზის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO - International Organization for Standardization) რეკომენდებულ სტანდარტებს;

გ) ანალიზის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV - International Organisation of Vine and Wine) მიერ რეკომენდებულ ანალიზის მეთოდებს;

დ) თუ არ არსებობს ამ პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ანალიზის მეთოდები, მათი სიზუსტის, განმეორებადობისა და აღწარმოების მიზნით შესაძლებელია გამოყენებული იქნეს:

- დ.ა) სხვა სახელმწიფოს მიერ დამტკიცებული ანალიზის მეთოდები;
- დ.ბ) საჭიროების შემთხვევაში, ანალიზის ნებისმიერი სხვა შესაბამისი მეთოდი.

მუხლი 16. გეოგრაფიული აღნიშვნები

1. სპირტიანი სასმელების ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის პროდუქტის სპეციფიკაციებთან, რეგისტრაციასთან, დაცვასა და გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ ტექნიკური რეგლამენტითა და საქართველოს კანონით „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ განსაზღვრული მოთხოვნებით.

2. ევროკავშირში წარმოებული სპირტიანი სასმელების, რომელთა გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვა განხორციელდა საქართველოში, წარდგენა და ეტიკეტირება უნდა განხორციელდეს დანართი N4-ის „საქართველოში დაცული ევროკავშირში გეოგრაფიული აღნიშვნებით დაცული სპირტიანი სასმელები“ შესაბამისად.

მუხლი 17. მოთხოვნები ბიზნესოპერატორის მიმართ

1. ბიზნესოპერატორი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს სპირტიანი სასმელების შესაბამისობა ამ ტექნიკური რეგლამენტით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან;
- ბ) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნები სპირტიანი სასმელების წარმოების, გადამამუშავების ან/და დისტრიბუციის ეტაპებზე.

2. შესაძლებელია ბიზნესოპერატორმა, რომელიც ახორციელებს სპირტიანი სასმელების წარმოებას, გადამამუშავებას ან/და დისტრიბუციას, გამოიყენოს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისგან განსხვავებული მოთხოვნები იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასაბუთებული იქნება, რომ გამოყენებული განსხვავებული მოთხოვნებით უზრუნველყოფილია ჰიგიენის ზოგადი მოთხოვნების დაცვა.

მუხლი 9. შესაბამისობის კონტროლი

1. ამ ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული სპირტიანი სასმელების ამ ტექნიკურ რეგლამენტთან და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი ხორციელდება:

- ა) სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის დროს;

ბ) სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ - სპირტიანი სასმლის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის, მათ შორის რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებით ან გეოგრაფიული აღნიშვნით დაცული (გარდა უცხო ქვეყნის მიერ რეგისტრირებული ადგილწარმოშობის დასახელებისა ან გეოგრაფიული აღნიშვნისა) სპირტიანი სასმელის, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის წარმოებისა და გადამუშავების მონიტორინგის, დოკუმენტური შემოწმების, ნიმუშის აღების დროს;

გ) საქონლის საქართველოს საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისას – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – შემოსავლების სამსახურის მიერ იმპორტის სასაქონლო ოპერაციის განსაზღვრისას სავალდებულოდ წარსადგენი შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტის – მწარმოებლის მიერ გაცემული შესაბამისობის დეკლარაციის ან სერტიფიკაციის ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისობის სერტიფიკატის გამოყენებით;

დ) ბიზნესოპერატორის მიერ, შიდა საწარმოო კონტროლის დროს.

დანართი N1

სპირტიანი სასმელების კატეგორიები

ამ ტექნიკური რეგლამენტის მიზნებისათვის განსაზღვრულია სპირტიანი სასმელების შემდეგი კატეგორიები:

1. რომი (Rum)

ა) რომი წარმოადგენს სპირტიანი სასმელს, რომელიც წარმოებულია მხოლოდ ლერწმის შაქრის წარმოებისათვის მიღებული სიროფის ან მელასის, ან ლერწმის შაქრის წვენი სპირტული დუდილით/ ალკოჰოლური ფერმენტაციით და შემდგომი დისტილაციით ისე, რომ დისტილატის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 96%-ზე ნაკლებს და ჰქონდეს რომისთვის დამახასიათებელი, შესამჩნევი ორგანოლექტიკური თვისებები;

ბ) რომის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული ან სხვა სახით;

დ) რომი არ უნდა იყოს არომატიზებული;

ე) რომი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია რომის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გრამს;

ზ) საქართველოს კანონის „საქონლის ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ“ განსაზღვრული მოთხოვნების თანახმად, რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნების შემთხვევაში, რომის ოფიციალურ დასახელებას შეიძლება დაემატოს:

ზ.ა) ტერმინი "*traditionnel*" ან "*tradicional*", იმ პირობით, რომ მოცემული რომი:

ზ.ა.ა) წარმოებულია სპირტული დუდილის/ალკოჰოლური ფერმენტაციის შემდეგ, არაუმეტეს 90% მოცულობითი სპირტშემცველობის მქონე სპირტის მიღებისთვის განკუთვნილი მასალის დისტილაციით, რომელიც წარმოშობილია უშუალოდ კონკრეტული წარმოების ადგილიდან;

ზ.ა.ბ) 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში, აქროლადი ნივთიერებების შემცველობა ტოლია ან აღემატება 2,25 გ-ს;

ზ.ა.გ) არ არის დამტკბარი;

ზ.ბ) ტერმინი „სასოფლო-სამეურნეო“, იმ პირობით, რომ წარმოდგენილი რომი აკმაყოფილებს „ზ.ა.“ პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს და წარმოებულია მხოლოდ შაქრის ლერწმის წვენი ალკოჰოლური დუდილის შემდგომი დისტილაციით. ტერმინი „სასოფლო-სამეურნეო“ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ საფრანგეთის

ზღვისიქითა დეპარტამენტის (French Overseas Department - FOD) ან მადიერას ავტონომიური რეგიონის გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში.

თ) ამ პუნქტის „ზ.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნები არ ზღუდავს ტერმინების „სასოფლო-სამეურნეო“ და „ტრადიციულის“ გამოყენებას სხვა ნებისმიერი პროდუქტის მიმართ, რომელიც არ განეკუთვნება კატეგორიას „რომი“, მათთვის დამახასიათებელი კონკრეტული კრიტერიუმების შესაბამისად.

2. ვისკი (*Whisky* ან *whiskey*)

ა) ვისკი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია მხოლოდ შემდეგი თანმიმდევრობის საწარმოო პროცესების განხორციელების გზით:

ა.ა) გაღივებული მარცვლოვნებისგან მიღებული ალაოს დისტილაციით, რომელსაც დამატებული აქვს ან არა აქვს დამატებული სხვა, მთლიანი, გაუღივებელი მარცვლოვნები და რომელიც:

ა.ა.ა) ალაოს ტკბილის (ბადაგის) საფუვრებით ფერმენტაცია, ამ დროს ჰიდროლიზი ხორციელდება ალაოს დიასტაზით, სხვა ბუნებრივი ენზიმების მოქმედებით ან ბუნებრივი ენზიმების მოქმედების გარეშე;

ა.ა.ბ) ფერმენტირებულია საფუვრების მოქმედებით;

ა.ბ) დისტილაციის ყოველი პროცესი ხორციელდება 94,8% მოცულობით სპირტშემცველობამდე, ისე, რომ დისტილატს უნდა ახასიათებდეს გამოყენებული ნედლეულის არომატი და გემო;

ა.გ) საბოლოო დისტილატის დავარგება არანაკლებ სამი წლის განმავლობაში არაუმეტეს 700 ლ ტევადობის ხის კასრებში;

ა.დ) საბოლოო დისტილატს, რომელსაც შესაძლებელია დამატებული ჰქონდეს მხოლოდ წყალი და შეფერვისთვის კარამელი, შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს ამ პუნქტის „ა.ა.“, „ა.ბ.“ და „ა.გ.“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული წარმოების პროცესის შედეგად მიღებული ფერი, არომატი და გემო;

ბ) ვისკის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 40 %-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული ან სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს ვისკის დატკობა, მათ შორის საბოლოო გემოს მისაცემად, ან არომატიზება, ან სხვა დანამატების დამატება, გარდა ჩვეულებრივი კარამელისა (E 150a), რომელიც გამოიყენება ფერის კორექტირებისათვის;

ე) ვისკის ოფიციალურ დასახელებას შეიძლება დაემატოს ტერმინი „ერთ ალაოიანი“ („single malt“) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დისტილირებული იქნა მხოლოდ ქერის ალაოსგან, ერთ სახდელ საწარმოში.

3. მარცვლოვნების არაყი (Grain spirit)

ა) მარცვლოვნების არაყი წარმოადგენს სპირტიანი სასმელს, რომელიც წარმოებულია მხოლოდ მარცვლოვანი კულტურებისგან მიღებული ფერმენტირებული ტკბილის დისტილაციით და ახასიათებს გამოყენებული ნედლეულის ორგანოლეპტიკური თვისებები;

ბ) გარდა “*Korn*” - სა, მარცვლოვნების არყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 35%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული ან სხვა სახით;

დ) მარცვლოვნების არაყი არ უნდა იყოს არომატიზებული;

ე) მარცვლოვნების არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია მარცვლოვნების არყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 10 გრამს;

ზ) მარცვლოვნების არყის ოფიციალური დასახელებად შეიძლება გამოყენებული იქნეს „მარცვლოვნების ბრენდი“ იმ შემთხვევაში, თუ მისი წარმოება ხორციელდება მხოლოდ მარცვლოვნებიდან მიღებული ფერმენტირებული ალკოჰოლის დისტილაციით, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 95%-ზე ნაკლებს და რომელსაც უნდა ახასიათებდეს გამოყენებული ნედლეულის ორგანოლეპტიკური თვისებები;

თ) ოფიციალურ დასახელებაში „მარცვლოვნების არაყი“ ან „მარცვლოვნების ბრენდი“ სიტყვა „მარცვლოვნები“ შესაძლებელია შეიცვალოს იმ მარცვლოვანი კულტურის დასახელებით, რომელიც გამოყენებული იქნა სპირტიანი სასმელის წარმოებისათვის.

4. ხილის ჩენჩოს არაყი (Fruit marc spirit)

ა) ხილის ჩენჩოს არაყი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) იგი წარმოებულია მხოლოდ ხილის ჩენჩოს (გარდა ყურძნის დურდოსი) ფერმენტაციით და დისტილაციით, შემდეგი პირობების დაცვით:

ა.ა.ა) დისტილაციის პროცესი ხორციელდება 86%-ზე ნაკლებ მოცულობით სპირტშემცველობამდე;

ა.ა.ბ) პირველადი დისტილაციის პროცესი ხორციელდება ხილის ჩენჩოსთან ერთად;

ა.ბ) აქროლადი ნივთიერებების მინიმალური შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში შეადგენს 2,0 გ-ს;

ა.გ) მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში შეადგენს 15,0 გ-ს;

ა.დ) ციანწყალბადმჟავას (ჰიდროციანის მჟავა - HCN) მაქსიმალური შემცველობა, კურკოვანი ხილის ჩენჩოს 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში არ აღემატება 0,07 გ-ს;

ბ) ხილის ჩენჩოს არყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5 %-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული ან სხვა სახით;

დ) ხილის ჩენჩოს არაყი არ უნდა იყოს არომატიზებული;

ე) ხილის ჩენჩოს არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია მარცვლოვნების არყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 10 გრამს;

ზ) ოფიციალური დასახელება უნდა შეიცავდეს ხილის დასახელებას, რომელსაც შემდეგ უნდა მოსდევდეს წარწერა „.....ჩენჩოს არაყი“. თუ გამოყენებულია რამდენიმე სხვადასხვა ხილის ჩენჩო, ოფიციალური დასახელება უნდა იყოს „ხილის ჩენჩოს არაყი“, რომელსაც შესაძლებელია დამატებული ჰქონდეს თითოეული ხილის დასახელება, გამოყენებული რაოდენობის კლებადობის მიხედვით.

5. ხილის არაყი (Fruit spirit)

ა) ხილის არაყი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) მისი წარმოება ხორციელდება ახალი და რბილობიანი კურკიანი ან უკურკო ხილიდან, მათ შორის ბანანიდან ან ამ ხილის, კენკროვანების ან ბოსტნეულის ტკბილიდან, სპირტული დუდილისა/ალკოჰოლური ფერმენტაციისა და დისტილაციის გზით;

ა.ბ) დისტილაციის პროცესი ხორციელდება არაუმეტეს 86% მოცულობით სპირტშემცველობამდე, ისე, რომ დისტილატს უნდა ახასიათებდეს დისტილაციისათვის გამოყენებული გამოყენებული ნედლეულის არომატი და გემო;

ა.გ) აქროლადი ნივთიერებების შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში ტოლია ან აღემატება 2,0 გ-ს;

ა.დ) ციანწყალბადმჟავას (ციანმჟავას) მაქსიმალური რაოდენობა კურკოვანი ხილის 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში არ აღემატება 0,07 გ-ს;

ბ) მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში შეადგენს 10,0 გ-ს, გარდა:

ბ.ა) ამ ქვეკუნქტით განსაზღვრული ხილიდან წარმოებული არყისა, რომელშიც მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში შეადგენს 12,0 გ-ს. კერძოდ:

ბ.ა.ა) ვაშლი (*Malus domestica* Borkh.),

ბ.ა.ბ) გარგარი (*Prunus armeniaca* L.),

ბ.ა.გ) ქლიავი (*Prunus domestica* L.),

ბ.ა.დ.) ღოღნოშო (*Prunus domestica* L.),

ბ.ა.ე) მირაბელი (*Prunus domestica* L. subsp. *syriaca* (Borkh.) Janch. ex Mansf.),

ბ.ა.ვ) ატამი (*Prunus persica* (L.) Batsch),

ბ.ა.ზ) მსხალი (*Pyrus communis* L.), გარდა ვილიამსის მსხლისა (*Pyrus communis* L. cv 'Williams'),

ბ.ა.თ) მაცვალი (*Rubus sect. Rubus*),

ბ.ა.ი) ჟოლო (*Rubus idaeus* L.);

ბ.ბ) ამ ქვეკუნქტით განსაზღვრული ხილიდან წარმოებული არყისა, რომელშიც მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში შეადგენს 13,5 გ-ს. კერძოდ:

ბ.ბ.ა) კომში (*Cydonia oblonga* Mill.),

ბ.ბ.ბ) ღვიის კენკრა (*Juniperus communis* L. ან *Juniperus oxicedrus* L.),

ბ.ბ.გ) პანტა - ვილიამსის მსხალი (*Pyrus communis* L. cv „Williams“),

ბ.ბ.დ) შავი მოცხარი (*Ribes nigrum* L.),

ბ.ბ.ე) წითელი მოცხარი (*Ribes rubrum* L.),

ბ.ბ.ვ) ასკილი (*Rosa canina* L.),

ბ.ბ.ზ) ანწლი (*Sambucus nigra* L.),

ბ.ბ.თ) ცირცელი (*Sorbus aucuparia* L.),

ბ.ბ.ი) ცირცელის ვაშლისებრი ნაყოფი (*Sorbus domestica* L.),

ბ.ბ.კ) თამელი (*Sorbus torminalis* (L.) Crantz);

გ) ხილის ჩენჩოს არყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5 %-ს;

დ) არ უნდა მოხდეს ხილის არაყის შეღებვა;

ე) იმ ხილის არაყის ფერის რეგულირებისათვის, რომელიც ძველდებოდა ხის ჭურჭელში (შეხებაში იყო ხესთან) არანაკლებ ერთი წლის განმავლობაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას კარამელი;

ვ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული ან სხვა სახით;

ზ) ხილის არაყი არ უნდა იყოს არომატიზებული;

თ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია ხილის არყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 18 გრამს;

ი) ოფიციალური დასახელება უნდა შეიცავდეს იმ ხილის, კენკრის ან ბოსტნეულის დასახელებას, რომლისგანაც მზადდება სპირტიანი სასმელი, რომელსაც შემდეგ უნდა მოსდევდეს წარწერა „..... არაყი“. გარდა აღნიშნულისა:

ი.ა) დასახელებაში დასაშვებია ხილის დასახელებასთან ერთად სიტყვა „*ვასერი*“ („*Wasser*“) – ის გამოყენება;

ი.ბ) ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ოფიციალური დასახელებები შეიძლება გამოყენებულ იქნას შემდეგ შემთხვევებში:

ი.ბ.ა) „*კირში*“ („*Kirsh*“) - ალუბლის არაყისათვის (*Prunus avium* (L.) L.);

ი.ბ.ბ) "ქლიავი", "კეტჩი" ან "სლივოვიცი" - ქლიავის (*Prunus domestica* L.) არაყისათვის;

ი.ბ.გ) "მირაბელი" - მირაბელის (*Prunus domestica* L. subsp. *syriaca* (Borkh.) Janch. ex Mansf.) არაყისათვის;

ი.ბ.დ) „ხემარწყვას ნაყოფი“ - ხემარწყვას (*Arbutus unedo* L.) ნაყოფის არაყისათვის;

ი.ბ.ე) „გოლდენ დელიშუს“ - ვაშლის (*Malus domestica* var. „Golden Delicious“) არაყისათვის;

ი.ბ.ვ) „*ობსტლერი*“ („*Obstler*“) - ხილის არაყისათვის, რომელიც მზადდება ხილით, კენკრით ან მის გარეშე, იმ პირობით, რომ ჩენჩოს არანაკლებ 85% მიღებულია ვაშლის, მსხლის ან ორივეს სხვადასხვა ჯიშის ნარევისაგან;

ი.ბ.ზ) დასახელება „*ვილიამსი*“ („*Williams*“) ან „ვილიამსი“ შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ სპირტიანი სასმელის ბაზარზე განთავსებისათვის, რომელიც წარმოებულია მხოლოდ „ვილიამსის“ ჯიშის მსხლისგან (პანტა);

ი.ბ.თ) თუ არსებობს რისკი, რომ საბოლოო მომხმარებელი ადვილად ვერ გაიგებს ერთ-ერთ ოფიციალური დასახელებას, რომელიც არ შეიცავს ამ პუნქტში მითითებულ სიტყვას „არაყი“, მაშინ აღწერა, წარდგენა და ეტიკეტირება უნდა შეიცავდეს სიტყვას „არაყი“, რომელსაც შეიძლება თან დაერთოს ახსნა-განმარტება.

კ) თუ ხდება ორი ან მეტი ხილის, კენკრის ან ბოსტნეულის ერთად დისტილაცია, პროდუქტი ბაზარზე განთავსებული უნდა იქნეს შემდეგი ოფიციალური დასახელებით:

კ.ა) "ხილის არაყი" - სპირტიანი სასმელებისთვის, რომლებიც წარმოებულია მხოლოდ ხილის ან კენკრის ან ორივეს ერთად დისტილაციით;

კ.ბ) „ბოსტნეულის არაყი“ - სპირტიანი სასმელებისთვის, რომელიც წარმოებულია მხოლოდ ბოსტნეულის დისტილაციით;

კ.გ) „ხილისა და ბოსტნეულის არაყი“ - სპირტიანი სასმელებისთვის, რომლებიც წარმოებულია ხილის, კენკრის და ბოსტნეულის ნარევის დისტილაციით;

კ.დ) ოფიციალური დასახელებას შესაძლებელია დამატებული ჰქონდეს თითოეული ხილის, კენკრის ან ბოსტნეულის დასახელება, გამოყენებული რაოდენობის კლებადობის მიხედვით.

6. კარტოფილის არაყი (Potato spirit)

ა) კარტოფილის არაყი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია მხოლოდ კარტოფილის ტუბერების სპირტული დუღილით/ალკოჰოლური ფერმენტაციით და დისტილაციით ისე, რომ დისტილატის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 94,8 %-ზე ნაკლებს და ჰქონდეს გამოყენებული ნედლეულის არომატი და გემო;

ბ) მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში შეადგენს 10,0 გ-ს;

გ) კარტოფილის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 38 %-ს;

დ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული ან სხვა სახით;

ე) კარტოფილის არაყი არ უნდა იყოს არომატიზებული;

ვ) კარტოფილის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ზ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია კარტოფილის არაყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 10 გრამს.

7. სიდრის არაყი, პერის არაყი და სიდრისა და პერის არაყი (Cider spirit, perry spirit და cider და perry spirit)

ა) სიდრის არაყი, პერის არაყი და სიდრისა და პერის არაყი სპირტიანი სასმელებია, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) წარმოებულია მხოლოდ ვაშლის ან მსხლის დისტილაციით ისე, რომ დისტილატის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 86 %-ზე ნაკლებს და ჰქონდეს გამოყენებული ხილის არომატი და გემო;

ა.ბ) აქროლადი ნივთიერებების შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში ტოლია ან აღემატება 2,0 გ-ს;

ა.გ) მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100 %-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში შეადგენს 10,0 გ-ს;

ბ) სიდრის არაყის, პერის არაყის და სიდრისა და პერის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5 %-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული ან სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს სიდრის არაყის, პერის არაყის და სიდრისა და პერის არაყის არომატიზება. ეს არ უნდა გამორიცხავდეს წარმოების ტრადიციულ მეთოდებს;

ე) სიდრის არაყი, პერის არაყი და სიდრისა და პერის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია სიდრის არაყის, პერის არაყის და სიდრისა და პერის არაყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 15 გრამს;

ზ) ოფიციალური დასახელება უნდა იყოს:

ზ.ა) "სიდრის არაყი" სპირტიანი სასმელისთვის, რომელიც მზადდება მხოლოდ სიდრის დისტილაციით;

ზ.ბ) „პერის არაყი“ სპირტიანი სასმელისთვის, რომელიც მზადდება პერის დისტილაციით;

ზ.გ) „სიდრისა და პერის არაყი“ სპირტიანი სასმელისთვის, რომელიც მზადდება სიდრისა და პერის დისტილაციით.

8. თაფლის არაყი (Honey spirit)

ა) თაფლის არაყი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) იწარმოება მხოლოდ თაფლის ტკბილის (ბადაგის) ფერმენტაციითა და დისტილაციით;

ა.ბ) რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა იყოს 86%-ზე ნაკლები და დისტილატს შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს გამოყენებული ნედლეულის ორგანოლეპტიკური თვისებები;

ბ) თაფლის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 35%-ს.

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული თუ სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს თაფლის არაყის არომატიზება;

ე) თაფლის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია თაფლის არაყის დატკობა მხოლოდ თაფლის დამატებით. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, თაფლის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გრამს.

9. ჰეფებრენდი (*Hefebrand*) ან ლექის არაყი (*lees spirit*)

ა) ჰეფებრენდი (*Hefebrand*) ან ლექის არაყი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია ფერმენტირებული ხილის, ან ღვინის, ან ლუდის ლექის დისტილაციით. დისტილატის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა იყოს 86%-ზე ნაკლები;

ბ) ჰეფებრენდის (*Hefebrand*) ან ლექის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 38%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული თუ სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს ჰეფებრენდის (*Hefebrand*) ან ლექის არაყის არომატიზება;

ე) ჰეფებრენდი (*Hefebrand*) ან ლექის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის რეგულირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია ჰეფებრენდის (*Hefebrand*) ან ლექის არაყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატებულ პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გრამს;

ზ) ოფიციალური დასახელებას - „ჰეფებრენდი“ (*Hefebrand*) ან „ლექის არაყი“ დამატებული უნდა ჰქონდეს გამოყენებული ნედლეულის დასახელება.

10. ლუდის არაყი (*Beer spirit*)

ა) ლუდის არაყი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია ნორმალური წნევის პირობებში, ნედლი ლუდის პირდაპირი დისტილაციით, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა იყოს 86%-ზე ნაკლები და დისტილატს უნდა ჰქონდეს ახალი ლუდისთვის დამახასიათებელი ორგანოლექტიკური თვისებები;

ბ) ლუდის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 38%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული თუ სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს ლუდის არაყის არომატიზება;

ე) ლუდის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია ლუდის არაყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატებულ პროდუქტის

პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გრამს.

11. პურის არაყი (Bread spirit)

ა) პურის არაყი წარმოადგენს სპირტიან სასმელს რომელიც წარმოებულია მხოლოდ ახალი პურის სპირტული დუღილით/ალკოჰოლური ფერმენტაციით და დისტილაციით, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა იყოს 86%-ზე ნაკლები და დისტილატს უნდა ჰქონდეს გამოყენებული ნედლეულის არომატი და გემო;

ბ) პურის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 38%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული თუ სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს პურის არაყის არომატიზება;

ე) პურის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია პურის არაყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გრამს.

12. არყის ხის წვენის არაყი (Birch sap spirit), ნეკერჩხალის წვენის არაყი (maple sap spirit) და არყის ხის წვენის და ნეკერჩხალის წვენის არაყი (birch და maple sap spirit)

ა) არყის ხის წვენის არაყი, ნეკერჩხალის წვენის არაყი და არყის ხის წვენის და ნეკერჩხალის წვენის არაყი სპირტიანი სასმელებია, რომლებიც წარმოებულია ნორმალური წნევის პირობებში არყის ხის ახალი წვენის, ნეკერჩხალის ახალი წვენის ან ორივეს ფერმენტაციით და შემდეგ მხოლოდ ტკბილის (ბადაგი) პირდაპირი დისტილაციით, რომლის მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა იყოს 88 %-ზე ნაკლები. დისტილატს უნდა ჰქონდეს არყის ხის წვენის, ნეკერჩხალის წვენის ან ორივესთვის დამახასიათებელი ორგანოლექტიკური თვისებები;

ბ) არყის ხის წვენის, ნეკერჩხალის წვენის და არყის ხის წვენის და ნეკერჩხალის წვენის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 38%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული თუ სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს არყის ხის წვენის, ნეკერჩხალის წვენის და არყის ხის წვენის და ნეკერჩხალის წვენის არაყის არომატიზება;

ე) არყის ხის წვენის, ნეკერჩხალის წვენის და არყის ხის წვენის და ნეკერჩხალის წვენის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია არყის ხის წვენის, ნეკერჩხალის წვენის და არყის ხის წვენის და ნეკერჩხალის წვენის არაყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გრამს.

13. მიწავაშლას (*Topinambur*) ან იერუსალიმის არტიშოკის არაყი (*Jerusalem artichoke spirit*)

ა) მიწავაშლას (*Topinambur*) ან იერუსალიმის არტიშოკის არაყი წარმოადგენს სპირტიანი სასმელს, რომელიც წარმოებულია მხოლოდ ტოპინამბურის (მიწავაშლა) ანუ იერუსალიმის არტიშოკის (*Helianthus tuberosus* L.) ტუბერების სპირტული დუღილით/ფერმენტაციით და დისტილაციით. დისტილატის მოცულობითი სპირტშემცველობა 86%-ზე ნაკლებია;

ბ) მიწავაშლას (*Topinambur*) ან იერუსალიმის არტიშოკის არაყის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 38%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ალკოჰოლის დამატება, განზავებული თუ სხვა სახით;

დ) არ უნდა მოხდეს მიწავაშლას (*Topinambur*) ან იერუსალიმის არტიშოკის არაყის არომატიზება;

ე) მიწავაშლას (*Topinambur*) ან იერუსალიმის არტიშოკის არაყი შეიძლება შეიცავდეს მხოლოდ დამატებულ კარამელს, როგორც ფერის კორექტირების საშუალებას;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია მიწავაშლას (*Topinambur*) ან იერუსალიმის არტიშოკის არაყის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 20 გრამს.

14. ვოდკა (*Vodka*)

ა) ვოდკა წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისაგან, შემდეგი პროდუქტების საფუძვრებით ფერმენტაციის გზით:

ა.ა) კარტოფილი და/ან მარცვლოვნები;

ა.ბ) სხვა სასოფლო-სამეურნეო ნედლეული;

ა.გ) დისტილაციის პროცესი უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ გამოყენებული ნედლეულის, აგრეთვე ფერმენტაციის დროს წარმოქმნილი მეორადი პროდუქტების ორგანოლექტიკური თვისებები, შერჩევით იქნეს შემცირებული;

ა.დ) დისტილაციისთვის განსაკუთრებული ორგანოლექტიკური თვისებების მინიჭებისათვის, შეიძლება ჩატარდეს მისი განმეორებითი დისტილაცია ან მოხდეს დამხმარე ტექნოლოგიური დანამატით, მათ შორის, გააქტივებული ნახშირით დამუშავება;

ა.ე) ვოდკის წარმოებისთვის გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ნარჩენების მაქსიმალური რაოდენობა უნდა შეესაბამებოდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ დონეებს, გარდა მეთანოლისა, რომლის შემცველობა სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში არ უნდა აღემატებოდეს 0,1 გრამს;

ბ) ვოდკის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5 %-ს;

გ) ვოდკას არიმპატიზატორებიდან შეიძლება დამატებული ჰქონდეს მხოლოდ ნატურალური (ბუნებრივი) არომატიზატორები ან არომატული პრეპარატები, რომლებიც არსებობს ფერმენტირებული ნედლეულიდან მიღებულ დისტილატში. გარდა ამისა, პროდუქტს შესაძლებელია მიცემული ჰქონდეს განსაკუთრებული ორგანოლექტიკური თვისებები, რომელიც განსხვავებული იქნება უპირატესი არომატისგან;

დ) ვოდკა არ უნდა იქნეს შეფერილი;

ე) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია ვოდკის დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 8 გრამს;

ვ) იმ ვოდკის აღწერის, წარდგენის და ეტიკეტირებისას, რომელიც არ არის წარმოებული მხოლოდ კარტოფილისაგან ან მარცვლეულისაგან ან ორივესგან ერთად, აუცილებელია მითითებული იქნეს „წარმოებულია - დან“ იმ ნედლეულის დასახელებით, რომელიც გამოყენებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის წარმოებისათვის. ეს მითითება უნდა ჩანდეს იმავე ხედვის არეალში, სადაც განთავსებულია ოფიციალური დასახელება.

ზ) ოფიციალური დასახელება უნდა იყოს „ვოდკა“ ნებისმიერ ქვეყანაში.

15. არაყი, ხილის მაცერაციით ან დისტილაციით მიღებული (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან კაკლოვანის დასახელება) Spirit (supplemented by the name of the fruit, berries ან nuts) obtained by maceration and distillation

ა) არაყი, მიღებული ხილის მაცერაციით ან დისტილაციით, (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან კაკლოვანის დასახელება) წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) იგი წარმოებულია:

ა.ა.ა) ამ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ხილის, კენკრის ან კაკლოვანის მაცერაციით, ნაწილობრივი ფერმენტაციით ან ფერმენტაციის გარეშე, 100 კგ ფერმენტირებულ ხილზე, კენკროვან ნაყოფზე ან კაკლოვანზე არა უმეტეს 20 ლ სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ან სპირტის ან იმავე ხილისგან მიღებული დისტილატის ან მათი კომბინაციის შესაძლო დამატებით;

ა.ა.ბ) შემდგომი დისტილაციით ისე, რომ თითოეული დისტილატის მოცულობითი სპირტშემცველობა 86%-ზე ნაკლებია;

ა.ბ) წარმოებისათვის გამოყენებულია შემდეგი ხილი, კენკრა ან კაკლოვანი:

ა.ბ.ა) არონია (*Aronia Medik. nom cons.*),

ა.ბ.ბ) ცირცელი შავნაყოფიანი (*Aronia melanocarpa (Michx.) Elliott*),

ა.ბ.გ) წაბლი ჩვეულებრივი (*Castanea sativa Mill.*),

ა.ბ.დ) ციტრუსების ნაყოფი (*Citrus spp.*),

ა.ბ.ე) თხილი ჩვეულებრივი (*Corylus avellana L.*),

ა.ბ.ვ) კეწერა (*Empetrum nigrum L.*),

ა.ბ.ზ) მარწყვი (*Fragaria spp.*),

ა.ბ.თ) ქაცვი (*Hippophae rhamnoides L.*),

ა.ბ.ი) ბადგი, ჭყორი (*Ilex aquifolium* და *Ilex cassine L.*),

ა.ბ.კ) შინდი (*Cornus mas*),

ა.ბ.ლ) კაკალი ჩვეულებრივი (*Juglans regia L.*),

ა.ბ.მ) ბანანი (*Musa spp.*),

ა.ბ.ნ) მირტი (*Myrtus communis L.*),

ა.ბ.ო) ოპუნცია (*Opuntia ficus-indica (L.) Mill.*),

ა.ბ.პ) მარაკუია (პასიფლორა) (*Passiflora edulis Sims*),

ა.ბ.ჟ) შოთხვი (*Prunus padus L.*),

ა.ბ.რ) კვრინჩხი (*Prunus spinosa L.*),

ა.ბ.ს) შავი მოცხარი (*Ribes nigrum L.*),

ა.ბ.ტ) თეთრი მოცხარი (*Ribes niveum Lindl.*),

ა.ბ.უ) წითელი მოცხარი (*Ribes rubrum L.*),

ა.ბ.ფ) ხურტკმელი (*Ribes uva-crispa L. syn. Ribes grossularia*),

- ა.ბ.ე) ასკილი (*Rosa canina L.*),
- ა.ბ.დ) არქტიკული მაყვალი (*Rubus arcticus L.*),
- ა.ბ.ყ) მიწამაყვალა (*Rubus chamaemorus L.*),
- ა.ბ.შ) მაყვალი (*Rubus sect. Rubus*),
- ა.ბ.ჩ) ჟოლო (*Rubus idaeus L.*),
- ა.ბ.ც) ანწლი (*Sambucus nigra L.*),
- ა.ბ.ძ) ცირცელი (*Sorbus aucuparia L.*),
- ა.ბ.წ) ცირცელის კენკრა (*Sorbus domestica L.*),
- ა.ბ.ჭ)თამელი (*Sorbus torminalis (L.) Crantz*),
- ა.ბ.ხ) ამარელი (*Spondias dulcis Parkinson*),
- ა.ბ.ჯ) ღორქლიავა (*Spondias mombin L.*),
- ა.ბ.ჰ) მაღალბუჩქოვანი მოცვი (*Vaccinium corymbosum L.*),
- ა.ბ.ჰ¹) ველური შტოში (*Vaccinium oxycoccos L.*),
- ა.ბ.ჰ²) ლურჯი მოცვი (*Vaccinium myrtillus L.*),
- ა.ბ.ჰ³) წითელი მოცვი (*Vaccinium vitis-idaea L.*),
- ა.ბ. ჰ⁴) ტყემალი (*Prunus divaricata Le de b.*)

ბ) ხილის მაცერაციით ან დისტილაციით მიღებული არაყის (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან კაკლოვანის დასახელება) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს ხილის მაცერაციით ან დისტილაციით მიღებული არაყის (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან კაკლოვანის დასახელება) არომატიზება;

დ) არ უნდა მოხდეს ხილის მაცერაციით ან დისტილაციით მიღებული არაყის (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან თხილის სახელი) შეფერვა;

ე) ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან ნაწილობრივი გადახვევით, ხილის მაცერაციით ან დისტილაციით მიღებული არაყის (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან კაკლოვანის დასახელება) ფერის შესაცვლელად, რომელიც ძველდებოდა ხის ჭურჭელში სულ მცირე ერთი წლის განმავლობაში, შეიძლება გამოყენებული იქნას კარამელი „საკვებდანამატების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ საქართველოს მთავრობის დადგენილება №585-ის დანართი N1-ის 14.2.6-ით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია ხილის მაცერაციით ან დისტილაციით მიღებული არაყის (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან კაკლოვანის) დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 18 გრამს;

ზ) ხილის მაცერაციით ან დისტილაციით მიღებული არაყის (რომელსაც წინ უძღვის ხილის, კენკრის ან კაკლოვანის დასახელება) აღწერის, წარდგენის ან ეტიკეტირებისას, ხედვის ძირითად არეალში, მითითებული უნდა იქნეს სიტყვები - „წარმოებული მაცერაციით და დისტილაციით“ იმავე ზომის და ფერის შრიფტით, იმავე ხედვის არეალში, როგორც სიტყვა „არაყი“ (ხილის დასახელების მითითებით) და ბოთლების შემთხვევაში, წინა ეტიკეტზე.

16. გაისტის (*Geist*) – სპირტიანი სასმელი ხილის ან გამოყენებული ნედლეულის დასახელებით Geist (supplemented by the name of the fruit ან the raw materials used)

ა) გაისტის (*Geist*) (სპირტიანი სასმელი ხილის ან გამოყენებული ნედლეულის დასახელებით) წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-15 კატეგორიის „ა.ბ“ ქვეკუნქტით განსაზღვრული არაფერმენტირებული ხილის და კენკროვნების ნაყოფის ან ბოსტნეულის, კაკლოვანის ან სხვა მცენარეული ნედლეულისაგან, მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტში ბალახების, ან ვარდის ფურცლების, ან სოკოების მაცერაციით შემდგომი დისტილაციით ისე, რომ დისტილატის მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს არაუმეტეს 86%-ს;

ბ) გაისტის (*Geist*) (სპირტიანი სასმელი ხილის ან გამოყენებული ნედლეულის დასახელებით) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს გაისტის (*Geist*) (სპირტიანი სასმელი ხილის ან გამოყენებული ნედლეულის დასახელებით) არომატიზება;

დ) არ უნდა მოხდეს გაისტის (*Geist*) (სპირტიანი სასმელი ხილის ან გამოყენებული ნედლეულის დასახელებით) შეფერვა;

ე) საბოლოო გემოს ფორმირებისათვის შესაძლებელია გაისტის (*Geist*) (სპირტიანი სასმელი ხილის ან გამოყენებული ნედლეულის დასახელებით) დატკობა. თუმცა, საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში, დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 10 გრამს;

ვ) ტერმინმა „გაისტის“ (*Geist*), რომელსაც წინ უსწრებს სხვა ტერმინი, რომელიც არ წარმოადგენს ხილის, მცენარის ან სხვა ნედლეულის დასახელებას, შეიძლება შევსებული იქნეს სხვა ალკოჰოლური სასმელების და სპირტიანი სასმელების ოფიციალური დასახელებით იმ პირობით, რომ ამგვარი გამოყენება შეცდომაში არ შეიყვანს მომხმარებელს.

17. მწარე სასმელი (*Gentian*):

ა) მწარე სასმელი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია მცენარე ნაღველას ფესვების ფერმენტაციით, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის დამატებით ან დამატების გარეშე და მისი შემდგომი დისტილაციით;

ბ) მწარე სასმელის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5%-ს;

გ) არ უნდა მოხდეს მწარე სასმელის არომატიზება.

18. სპირტიანი სასმელი ღვის არომატით (Juniper-flavoured spirit drink)

ა) სპირტიანი სასმელი ღვის არომატით წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ან მარცვლოვნების სპირტიანი სასმელის ან მარცვლოვნების დისტილატის ან მათი კომბინაციის ღვის (*Juniperus communis L. and/or Juniperus oxicedrus L.*) კენკროვანი ნაყოფით არომატიზებით;

ბ) სპირტიანი სასმელის ღვის არომატით მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 30,0%-ს;

გ) დასაშვებია სხვა არომატული ნივთიერებების, არომატული პრეპარატების, არომატული მცენარეების ან მცენარეების ნაწილების ან მათი კომბინაციის დამატება ღვის კენკროვან ნაყოფთან ერთად იმ პირობით, რომ მათი დამატების მიუხედავად, სპირტიან სასმელში ღვის არომატი უნდა იყოს აშკარად შესამჩნევი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც იგი ზოგჯერ განზავებულია;

დ) ღვის (Juniper) არომატიანი სპირტიანი სასმელის ოფიციალურ დასახელებად შესაძლებელია გამოყენებული იქნეს „Wacholder“ ან „Genebra“.

19. ჯინი (Gin)

ა) ჯინი (Gin) წარმოადგენს ღვის არომატის მქონე სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისაგან, რომელსაც არომატიზებისთვის დამატებული აქვს ღვის (*Juniperus communis L.*) კენკროვანი ნაყოფი;

ბ) ჯინის (Gin) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5%-ს;

გ) ჯინის (Gin) წარმოებაში დასაშვებია მხოლოდ არომატული ნივთიერებების ან არომატული პრეპარატების ან ორივეს დამატება იმ პირობით, რომ ჯინში ღვის გემო უნდა იყოს უპირატესი;

დ) ტერმინს - „ჯინი“ (Gin) შესაძლებელია დაემატოს ტერმინი „მშრალი“ იმ პირობით, თუ დამატებული დამატკობლის რაოდენობა ყოველ 1 (ერთ) ლიტრ მზა

პროდუქტში არ აღემატება 0,1 გ დამატკობელ პროდუქტს, გამოსახულს როგორც ინვერსიული შაქარი.

20. ჯინი დისტილირებული (*Distilled gin*)

ა) ჯინი დისტილირებული (*Distilled gin*) წარმოადგენს შემდეგიდან ერთერთს:

ა.ა.) ღვის არომატის მქონე სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის დისტილაციით, რომლის საწყისი მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს არანაკლებ 96% და რომელსაც არომატიზებისათვის დამატებული აქვს ღვის (*Juniperus communis L.*) კენკროვანი ნაყოფი ან სხვა ბუნებრივი მცენარეული კომპონენტები იმ პირობით, რომ ღვის გემო უნდა იყოს უპირატესი;

ა.ბ) ასეთი დისტილაციის შედეგად მიღებული პროდუქტის და იმავე შემადგენლობის, სისუფთავის და მოცულობითი სპირტშემცველობის სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის კომბინაციით; დისტილირებული ჯინის არომატიზებისათვის შესაძლებელია ასევე გამოყენებული იქნეს ამ დანართის მე-19 კატეგორიის „გ“ ქვეკუნქტით განსაზღვრული არომატული ნივთიერებები და არომატული პრეპარატები, ან ორივე ერთად;

ბ) ჯინი დისტილირებულის (*Distilled gin*) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5%-ს;

გ) ჯინი, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტზე ესენციების ან არომატული ნივთიერებების დამატებით, არ წარმოადგენს დისტილირებულ ჯინს (*Distilled gin*);

დ) ტერმინს - „ჯინი დისტილირებული“ (*Distilled gin*) შესაძლებელია დაემატოს ან ჩართული იქნეს დასახელებაში ტერმინი „მშრალი“ იმ პირობით, თუ დამატებული დამატკობლის რაოდენობა ყოველ 1 (ერთ) ლიტრ საბოლოო/მზა პროდუქტში არ აღემატება 0,1 გ დამატკობელ პროდუქტს, გამოსახულს როგორც ინვერსიული შაქარი.

21. ლონდონ ჯინი (*London gin*)

ა) ლონდონ ჯინი (*London gin*) წარმოადგენს დისტილირებული ჯინს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) წარმოებულია მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტისაგან, რომელშიც მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში არ აღემატება 0,05 გ-ს, რომლის არომატი მიღებულია მხოლოდ ყველა ბუნებრივი მცენარეული კომპონენტების შემცველი სასოფლო სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის დისტილაციით;

ა.ბ) მიღებული დისტილატის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 70%-ს;

ა.გ) ნებისმიერი დამატებული სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტი უნდა აკმაყოფილებდეს ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ მეთანოლის მაქსიმალური შემცველობა 100%-იანი ეთილის სპირტის ყოველ ერთ ლიტრში არ უნდა აღემატებოდეს 0,05 გ-ს;

ა.დ) არ უნდა იყოს შეფერილი;

ა.ე) დამტკბარი უნდა იყოს ისე, რომ დამატებული დამატკბობლის რაოდენობა ყოველ 1 (ერთ) ლიტრ საბოლოო/შზა პროდუქტში არ უნდა აღემატებოდეს 0,1 გ დამატკბობელ პროდუქტს, გამოსახულს როგორც ინვერსიული შაქარი;

ა.ვ) არ შეიცავს არანაირ სხვა ინგრედიენტებს, გარდა 21-ე კატეგორიის „ა.ა“, „ა.გ“ და „ა.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულისა და წყლისა;

ბ) *ლონდონ ჯინის (London gin)* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5%-ს;

გ) ტერმინს - „*ლონდონ ჯინი*“ (*London gin*) შესაძლებელია დაემატოს ან ჩართული იქნეს დასახელებაში ტერმინი „*მშრალი*“ („*dry*“).

22. სპირტიანი სასმელი კვლიავის არომატით ან *კუმელი* (Caraway-flavoured spirit drink ან *Kümmel*)

ა) სპირტიანი სასმელი კვლიავის არომატით ან *კუმელი (Kümmel)* წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის კვლიავით (*Carum carvi L.*) არომატიზებით;

ბ) სპირტიანი სასმელი კვლიავის არომატით ან *კუმელის Kümmel* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 30 %-ს;

გ) დამატებით დასაშვებია სხვა არომატული ნივთიერებების ან არომატული პრეპარატების ან ორივეს გამოყენება იმ პირობით, რომ სპირტიან სასმელში კვლიავის არომატი უნდა იყოს უპირატესი.

23. *აქვავიტი* ან *აკვავიტი (Akvavit ან aquavit)*

ა) *აქვავიტი* ან *აკვავიტი (Akvavit ან aquavit)* წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც არომატიზებულია კვლიავის ან კამის ან ორივეს თესლებით და წარმოებულია მცენარეების ან სანელებლების დისტილატით არომატიზებული სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის გამოყენებით;

ბ) აქვავიტის ან აკვავიტის (*Akvavit* ან *aquavit*) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 37,5 %-ს;

გ) დამატებით დასაშვებია ნატურალური (ბუნებრივი) არომატიზატორების ან არომატული პრეპარატების ან ორივეს გამოყენება, თუმცა სპირტიანი სასმელის გემოსა და არომატს უნდა განსაზღვრავდეს კვლიავის თესლის (*Carum carvi L.*) ან კამის თესლის (*Anethum graveolens L.*) დისტილატი. დაუშვებელია ეთერზეთების გამოყენება;

დ) მწარე ნივთიერებების გემო არ უნდა იყოს უპირატესი; 100 მლ-ში მშრალი ექსტრაქტის შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 1,5 გ-ს.

24. სპირტიანი სასმელი ანისულის არომატით (*Aniseed-flavoured spirit drink*)

ა) სპირტიანი სასმელი ანისულის არომატით წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ბადიანის (ვარსკვლავისებური ანისული - *Illicium verum Hook f.*), ანისულის (*Pimpinella anisum L.*), დიდი კამის (*Foeniculum vulgare Mill*) ან ანალოგიური არომატული კომპონენტების შემცველი სხვა ნებისმიერი მცენარის ბუნებრივი ექტრაქტებით არომატიზებით. მისი წარმოებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები ან ამ მეთოდთა კომბინაციები:

ა.ა.) მაცერაცია ან დისტილაცია ან ორივე ეს პროცესი;

ა.ბ) „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მცენარეების თესლების ან სხვა ნაწილების შემცველი სპირტის დისტილაცია;

ა.გ) ანისულის არომატის მქონე მცენარეების ბუნებრივი დისტილირებული ექსტრაქტების დამატება;

ბ) ანისულის არომატის მქონე სპირტიანი სასმელის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 15 %-ს;

გ) ანისულის არომატის მქონე სპირტიანი სასმელის არომატიზება დასაშვებია მხოლოდ არომატული პრეპარატებით და ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებებით;

დ) ანისულის არომატის მქონე სპირტიანი სასმელის დასამზადებლად დასაშვებია სხვა ბუნებრივი წარმოშობის მცენარეული ექსტრაქტების და არომატული თესლის დამატება იმ პირობით, რომ სპირტიან სასმელში ანისულის გემო იქნება უპირატესი.

25. პასტისი (*Pastis*)

ა) პასტისი (*Pastis*) წარმოადგენს ანისულის გემოს მქონე სპირტიან სასმელს, რომელიც ასევე შეიცავს ძირტკბილას (*Glycyrrhiza spp.*) ფესვის ბუნებრივ ექსტრაქტებს,

რაც გულისხმობს საღებავების არსებობას, რომლებიც ცნობილია როგორც "ჰალკონები", და ასევე გლიცირიზინის მჟავას, რომელთა მინიმალური შემცველობა ერთ ლიტრში 0,05 გ-ს, ხოლო მაქსიმალური შემცველობა 0,5 გ-ს შეადგენს;

ბ) *პასტისის (Pastis)* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 40 %-ს;

გ) *პასტისის (Pastis)* არომატიზება დასაშვებია მხოლოდ არომატული პრეპარატებით და ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებებით;

დ) *პასტისის (Pastis)* ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს 100 გ - ზე ნაკლებს, ხოლო ანეთოლის მინიმალური შემცველობა 1,5 გ/ლ-ს, ხოლო მაქსიმალური – 2 გ/ლ-ს შეადგენს.

26. პასტის დე მარსელ (Pastis de Marseille)

ა) *პასტის დე მარსელ (Pastis de Marseille)* წარმოადგენს მკვეთრად გამოხატული ანისულის გემოს მქონე პასტისს, რომლის ერთ ლიტრში ანეთოლის შემცველობა 1,9-დან 2,1 გ-ს შეადგენს;

ბ) *პასტის დე მარსელის (Pastis de Marseille)* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 45 %-ს;

გ) *პასტის დე მარსელის (Pastis de Marseille)* არომატიზება დასაშვებია მხოლოდ არომატული პრეპარატებით და ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებებით.

27. ანისული ან ჟანეზევეკი (Anis ან janeževc)

ა) ანისული ან ჟანეზევეკი (*Anis or janeževc*) წარმოადგენს ანისულის არომატის მქონე სპირტიან სასმელს, რომელიც დამახასიათებელ ანისულის არომატს იღებს მხოლოდ ანისულის (*Pimpinella anisum L.*) ვარსკვლავისებური ანისულის (*Illicium verum Hook f.*) ან დიდი კამისგან (*Foeniculum vulgare Mill*) ან მათი კომბინაციისაგან;

ბ) *ანისულის ან ჟანეზევეკის (Anis or janeževc)* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 35 %-ს;

გ) *ანისულის ან ჟანეზევეკის (Anis or janeževc)* არომატიზება დასაშვებია მხოლოდ არომატული პრეპარატებით და ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებებით.

28. ანისული დისტილირებული (Distilled anis)

ა) *ანისული დისტილირებული (Distilled anis)* წარმოადგენს ანისულს, რომელიც შეიცავს ამ დანართის 27-ე კატეგორიის „ა“ პუნქტით განსაზღვრული მცენარეების

თესლების თანაობისას დისტილირებულ სპირტს, ხოლო გეოგრაფიული აღნიშვნის შემთხვევაში - დანამასტაკს (*Pistacia lentiscus*) და სხვა არომატული თესლებს, მცენარეებს ან ნაყოფებს, იმ პირობით, რომ ასეთი სპირტის მოცულობითი სპირტშემცველობა დისტილირებულ ანისულში შეადგენს არანაკლებ 20%-ს;

ბ) დისტილირებული *ანისულის* (Distilled *anis*) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 35 %-ს;

გ) დისტილირებული *ანისულის* (Distilled *anis*) არომატიზება დასაშვებია მხოლოდ არომატული პრეპარატებით და ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებებით.

29. მწარე სპირტიანი სასმელი ან ბიტერი (Bitter-tasting spirit drink ან *bitter*)

ა) მწარე სპირტიანი სასმელი ან ბიტერი (*bitter*) წარმოადგენს უპირატესი მწარე გემოს მქონე სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ან სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატის ან ორივეს, არომატული ნივთიერებებით ან არომატული პრეპარატებით ან ორივეთი არომატიზებით;

ბ) მწარე სპირტიანი სასმელის ან ბიტერის (*bitter*) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 15 %-ს;

გ) სპირტიანი სასმელების გარდა სხვა სურსათის წარდგენისა და ეტიკეტირებისას, მწარე სპირტიანი სასმელი ან ბიტერი (*bitter*) დასაშვებია ბაზარზე განთავსებული იქნეს დასახელებებით „მწარე“ ან „მწარე“ სხვა ტერმინთან ერთად ან სხვა ტერმინის გარეშე;

დ) ტერმინი „მწარე“ ან „მწარე“ (*bitter*) შეიძლება გამოყენებულ იქნას მწარე გემოს მქონე ლიქიორების აღწერის, წარდგენასა და ეტიკეტირებაში.

30. ვოდკა არომატიზებული (Flavoured vodka)

ა) ვოდკა არომატიზებული წარმოადგენს ვოდკას, რომელსაც მიცემული აქვს გამოყენებული ნედლეულის არომატისაგან განსხვავებული უპირატესი არომატი;

ბ) არომატიზებული ვოდკის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 37,5 %-ს;

გ) ვოდკა არომატიზებული შესაძლებელია იყოს დამტკბარი, კუპაჟირებული, არომატიზებული, დავარგებული ან შეფერილი;

დ) არომატიზებული ვოდკის დატკობისას, ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს 100 გ - ზე ნაკლებს;

ე) არომატიზებული ვოდკის ოფიციალური დასახელება შეიძლება იყოს ასევე ნებისმიერი უპირატესი არომატის დასახელება, სიტყვა "ვოდკასთან" ერთად.

31. კვრინჩხით არომატიზებული სპირტიანი სასმელი ან *პაჩარანი* (Sloe-aromatised spirit drink ან *pacharán*)

ა) კვრინჩხით არომატიზებული სპირტიანი სასმელი ან *პაჩარანი* (*pacharán*) წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელსაც უპირატესად აქვს კვრინჩხის გემო და წარმოებულია კვრინჩხის (*Prunus spinosa*) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტში მაცერაციით, რომელსაც დამატებული აქვს ანისულის ბუნებრივი ექსტრაქტი ან ანისულის დისტილატი ან ორივე ერთად;

ბ) კვრინჩხით არომატიზებული სპირტიანი სასმელის ან *პაჩარანის* (*pacharán*) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 25 %-ს;

გ) კვრინჩხით არომატიზებული სპირტიანი სასმელის ან *პაჩარანის* (*pacharán*) წარმოებისათვის გამოყენებული კვრინჩხის ნაყოფის მინიმალური რაოდენობა, ერთ ლიტრ საბოლოო/მზა პროდუქტში, უნდა შეადგენდეს 125 გ-ს;

დ) კვრინჩხით არომატიზებული სპირტიანი სასმელის ან *პაჩარანის* (*pacharán*) დატკობისას, ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტის შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, უნდა შეადგენდეს 80 გ - დან 250 გ-მდე;

ე) კვრინჩხით არომატიზებული სპირტიანი სასმელის ან *პაჩარანის* (*pacharán*) ორგანოლექტიკური მახასიათებლები, ფერი და გემო უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მხოლოდ გამოყენებული ხილის ნაყოფებითა და ანისულით;

ვ) ტერმინი „*პაჩარანი*“ („*pacharán*“), როგორც ოფიციალური დასახელება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროდუქტი წარმოებულია ესპანეთში. თუ პროდუქტი წარმოებულია ესპანეთის ფარგლებს გარეთ, ტერმინი „*Pacharán*“-ის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ოფიციალურ დასახელებაზე „კვრინჩხის არომატიზებული სპირტიანი სასმელი“-ს დამატებით, იმ პირობით, რომ მას თან ახლავს სიტყვები: „წარმოებულია-ში“, წვერი სახელმწიფოს ან მწარმოებელი ქვეყნის დასახელების შემდეგ.

32. ლიქიორი (Liqueur)

ა) ლიქიორი წარმოადგენს სპირტიან სასმელს:

ა.ა) რომელშიც დამატკობელი პროდუქტების მინიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი:

ა.ა.ა) ერთ ლიტრ ალუბლის ან მჟავე ალუბლის ლიქიორში, რომლის ეთილის სპირტი წარმოადგენილია მხოლოდ ალუბლის ან მჟავე ალუბლის ეთილის სპირტით შეადგენს 70 გ-ს;

ა.ა.ბ) ერთ ლიტრ ლიქიორში, რომელშიც ერთადერთი არომატული ნივთიერება წარმოდგენილია ნაღველას ან მსგავსი მცენარეების სახით, შეადგენს 80 გ-ს;

ა.ა.გ) ყველა სხვა შემთხვევაში ერთ ლიტრში 100 გ-ის ოდენობით;

ა.ბ) რომლის წარმოება ხდება სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტით ან სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატით ან ერთი ან რამდენიმე სპირტიანი სასმელით ან მათი კომბინაციით, რომელიც დამტკვარია და რომელსაც დამატებული აქვს ერთი ან რამდენიმე არომატიზატორი, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის პროდუქტები ან სურსათი;

ბ) ლიქიორის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 15 %-ს;

გ) ლიქიორის წარმოებისას შეიძლება გამოყენებული იქნეს არომატული ნივთიერებები და არომატული პრეპარატები.

თუმცა, შემდეგი დასახელების ხილის ლიქიორების წარმოებაში გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ბუნებრივი ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებები და არომატული პრეპარატები:

გ.ა.) ხილის ლიქიორები:

გ.ა.ა) ანანასი (*Ananas*),

გ.ა.ბ) ციტრუსის ნაყოფი (*Citrus L.*),

გ.ა.გ) ქაცვი (*Hippophae rhamnoides L.*),

გ.ა.დ) თუთა (*Morus alba, Morus rubra*),

გ.ა.ე) მჟავე ალუბალი (*Prunus cerasus*),

გ.ა.ვ) ალუბალი (*Prunus avium*),

გ.ა.ზ) შავი მოცხარი (*Ribes nigrum L.*),

გ.ა.თ) არქტიკული მაყვალი (*Rubus arcticus L.*),

გ.ა.ი) მიწამაყვალა (*Rubus chamaemorus L.*),

გ.ა.კ) ჟოლო (*Rubus idaeus L.*),

გ.ა.ლ) შტოში (*Vaccinium oxycoccos L.*),

გ.ა.მ) მოცვი (*Vaccinium myrtillus L.*),

გ.ა.ნ) წითელი მოცვი (*Vaccinium vitis-idaea L.*);

გ.ბ) მცენარეული ლიქიორები:

გ.ბ.ა) ავშანი (*Artemisia genepi*),

გ.ბ.ბ) ნაღველა (*Gentiana L.*),

გ.ბ.გ) პიტნა (*Mentha L.*),

გ.ბ.დ) ანისული (*Pimpinella anisum L.*),

დ) ოფიციალური სახელი შეიძლება იყოს „ლიქიორი“ და ამასთანავე:

დ.ა.) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტში მჟავე ალუბლის ან ალუბლის მაცერაციის შედეგად წარმოებული ლიქიორებისთვის, ოფიციალური დასახელება შეიძლება იყოს „*guignolet*“ ან „*česnjevec*“, ტერმინით "ლიქიორი" ერთად, ან მის გარეშე;

დ.ბ) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტში მჟავე ალუბლის (*Prunus cerasus*) მაცერაციის შედეგად წარმოებული ლიქიორებისთვის, ოფიციალური დასახელება შეიძლება იყოს „*ginja*“ ან „*ginjinha*“ ან „*višnjevec*“, ტერმინით „ლიქიორი“ ერთად ან მის გარეშე;

დ.გ) ლიქიორებისთვის, რომლებშიც ალკოჰოლის შემცველობა მხოლოდ რომით არის წარმოდგენილი, ოფიციალური დასახელება შეიძლება იყოს „*punch au rhum*“ („*პუნჩ აუ რომი*“), ტერმინით „ლიქიორი“ ერთად ან მის გარეშე;

დ.დ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტით და მე-9 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ლიქიორისთვის, რომელიც შეიცავს რძესა და რძის პროდუქტებს, ოფიციალური დასახელება შეიძლება იყოს „კრემი“ („ნაღები“), იმ გამოყენებული ნედლეულის დასახელების დამატებით, რომელიც ლიქიორს აძლევს უპირატეს გემოს, ტერმინთან „ლიქიორი“ ერთად ან მის გარეშე;

ე) ლიქიორ(ებ)ის აღწერის, წარდგენის და ეტიკეტირებისას, თუ დადგენილი წარმოების მეთოდების გათვალისწინების მიზნით გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტი ან დისტილატი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს შედგენილი დასახელებები:

ე.ა) *prune brandy* – ქლიავის ბრენდი ;

ე.ბ) *orange brandy* – ფორთოხლის ბრენდი ;

ე.გ) *apricot brandy* – გარგარის ბრენდი;

ე.დ) *cherry brandy* – ალუბლის ბრენდი;

ე.ე) *solbaerrom*, ანუ შავი მოცხარის რომი – *blackcurrant rum*.

ე.ვ) ამ ქვეპუნქტით განსაზღვრული ლიქიორის აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირებისას, შედგენილი ტერმინი ეტიკეტზე მითითებული უნდა იქნეს ერთ ხაზზე, ერთნაირი ზომისა და ფერის შრიფტით, სიტყვა „ლიქიორი“ მითითებული უნდა იქნეს არანაკლები ზომის შრიფტით, უშუალოდ დასახელებასთან ახლოს. თუ სპირტი წარმოქმნილი არ არის მითითებული სპირტიანი სასმელისგან, მისი წარმოშობა მითითებული უნდა იქნეს ეტიკეტზე ხედვის იმავე არეალში, რომელშიც მოცემულია შედგენილი დასახელება და სიტყვა „ლიქიორი“, ან სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის ტიპის მითითებით, ან სიტყვებით „სასოფლო-

სამეურნეო წარმოშობის სპირტი“, რომელთაც, თითოეულ შემთხვევაში, წინ უსწრებს სიტყვები „დამზადებულია....დან“ ან „დამზადებულია..... -ის გამოყენებით“.

ვ) ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-9, მე-10 მუხლების და მე-11 მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნების გათვალისწინებით, ოფიციალურ დასახელებას „ლიქიორი“ შესაძლებელია დამატებული ჰქონდეს არომატიზატორის ან სასურსათო პროდუქტის დასახელება, რომელიც სპირტიან სასმელს აძლევს უპირატეს გემოს, იმ პირობით, რომ სპირტიან სასმელს გემოს აძლევს სასურსათო პროდუქტის არომატიზატორი, არომატიზატორების პრეპარატები ან ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებები, რომლებიც მიღებულია იმ ნედლეულიდან, რომელიც მითითებულია არომატიზატორის ან სასურსათო პროდუქტის დასახელებაში, არომატიზატორის დამატებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აუცილებელია ამ ნედლეულის გემოს გაძლიერება.

33. გამოყენებული ხილის ან ნედლეულის დასახელება..... რომლის შემდეგ მითითებული უნდა იქნეს კრემით (ნაღებით) (Crème de (followed by the name of a fruit or the raw material used))

ა) გამოყენებული ხილის ან ნედლეულის დასახელება..... რომლის შემდეგ მითითებული უნდა იქნეს კრემით (ნაღებით), წარმოადგენს ლიქიორს, რომლის ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტების მინიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი შეადგენს 250 გ-ს;

ბ) გამოყენებული ხილის ან ნედლეულის დასახელება..... რომლის შემდეგ მითითებული უნდა იქნეს კრემით (ნაღებით) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 15 %-ს;

გ) არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის 32-ე კატეგორიის სპირტიანი სასმელებისთვის განსაზღვრული მოთხოვნები;

დ) ნედლეულის სახით არ უნდა იქნეს გამოყენებული რძე და რძის ნაწარმი (რძის პროდუქტები);

ე) ოფიციალურ დასახელებაში მითითებული ხილი ან ნებისმიერი სხვა ნედლეული უნდა იყოს ის ხილი ან ნედლეული, რომელიც ამ სპირტიან სასმელს ანიჭებს მის უპირატეს გემოს;

ვ) ოფიციალურ დასახელებას შესაძლებელია დაემატოს ტერმინი „ლიქიორი“;

ზ) ოფიციალური დასახელება „კრემ დე კასის“ («crème de cassis») შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ შავი მოცხარით წარმოებული ლიქიორებისთვის, რომლის ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტების შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი, შეადგენს 400 გ-ზე მეტს.

34. კვრინჩხის ჯინი (*Sloe gin*)

ა) კვრინჩხის ჯინი (*Sloe gin*) წარმოადგენს ლიქიორს, რომელიც მზადდება კვრინჩხის მაცერაციით ჯინში, რომელსაც შესაძლებელია დამატებული ჰქონდეს კვრინჩხის წვენი;

ბ) კვრინჩხის ჯინის (*Sloe gin*) მინიმალური მოცულობითი სპირტმემცველობა შეადგენს 25%-ს;

გ) კვრინჩხის ჯინის (*Sloe gin*) წარმოებაში დასაშვებია მხოლოდ ნატურალური (ბუნებრივი) ბუნებრივი არომატული ნივთიერებებისა და არომატული პრეპარატების გამოყენება;

დ) ოფიციალურ დასახელებას შეიძლება დაემატოს ტერმინი „ლიქიორი“.

35. სამბუკა (*Sambuca*)

ა) სამბუკა (*Sambuca*) წარმოადგენს ანისულის არომატის მქონე უფერო ლიქიორს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) შეიცავს ანისულის (*Pimpinella anisum L.*) ვარსკვლავისებური ანისულის (ბადიანი) (*Illicium verum Hook f.*) ან სხვა არომატული ბალახოვანი მცენარეების დისტილატს;

ა.ბ) სამბუკას (*Sambuca*) ყოველ ერთ ლიტრში დამატებული პროდუქტების მინიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი შეადგენს 350 გ-ს;

ა.გ) ბუნებრივი ანეთოლის შემცველობა ერთ ლიტრში შეადგენს არანაკლებ 1,0 გ-ს და არაუმეტეს 2 გ-ს;

დ) სამბუკას (*Sambuca*) მინიმალური მოცულობითი სპირტმემცველობა შეადგენს 38%-ს;

ე) სამბუკას (*Sambuca*) წარმოებისას არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის 32-ე კატეგორიის სპირტიანი სასმელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნები;

ვ) არ უნდა მოხდეს სამბუკას (*Sambuca*) შეფერვა;

ზ) ოფიციალურ დასახელებას შესაძლებელია დაემატოს ტერმინი „ლიქიორი“.

36. მარასჩინო, მარასკინო ან მარასკინო (*Maraschino, marrasquino* ან *maraskino*)

ა) მარასჩინო, მარასკინო ან მარასკინო (*Maraschino, marrasquino* ან *maraskino*) წარმოადგენს უფერო ლიქიორს, რომლის არომატს ძირითადად განსაზღვრავს მარასკინის ალუბლის (*Prunus cerasus var. marasca*) დისტილატი ან სასოფლო-

სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტში ან ალუბლის დისტილატში ალუბლის ან ალუბლის ნაწილების მაცერაციით მიღებული პროდუქტი, რომლის ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტების მინიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი შეადგენს 250 გ-ს;

ბ) *მარასჩინოს, მარასკინოს ან მარასკინოს (Maraschino, marrasquino ან maraskino)* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 24%-ს;

გ) *მარასჩინოს, მარასკინოს ან მარასკინოს (Maraschino, marrasquino ან maraskino)* წარმოებისას არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის 32-ე კატეგორიის სპირტიანი სასმელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნები;

დ) *მარასჩინო, მარასკინო ან მარასკინო (Maraschino, marrasquino ან maraskino)* არ უნდა იყოს შეფერილი;

ე) ოფიციალურ დასახელებას შესაძლებელია დაემატოს ტერმინი „ლიქიორი“.

37. ნოჩინო ან ორეჰოვეცი (Nocino ან orehovec)

ა) *ნოჩინო ან ორეჰოვეცი (Nocino ან orehovec)* წარმოადგენს უფერო ლიქიორს, რომლის არომატი ძირითადად მიღებულია ჩვეულებრივი კაკლის (*Juglans regia L.*) მთლიანი მწვანე ნაყოფის მაცერაციით ან მაცერაციით და დისტილაციით, რომლის ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტების მინიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი შეადგენს 100 გ-ს;

ბ) *ნოჩინოს ან ორეჰოვეცის (Nocino ან orehovec)* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 30%-ს;

გ) *ნოჩინოს ან ორეჰოვეცის (Nocino ან orehovec)* წარმოებისას არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების გამოყენებასთან დაკავშირებით ვრცელდება ამ ტექნიკური რეგლამენტის 32-ე კატეგორიის სპირტიანი სასმელებისათვის განსაზღვრული მოთხოვნები;

დ) ოფიციალურ დასახელებას შესაძლებელია დაემატოს ტერმინი „ლიქიორი“.

38. კვერცხის ლიქიორი ან ადვოკატი ან ავოკატი ან ადვოკატი (Egg liqueur or advocaat ან avocat ან advokat)

ა) კვერცხის ლიქიორი ან ადვოკატი ან ავოკატი ან ადვოკატი (Egg liqueur or advocaat ან avocat ან advokat) წარმოადგენს არომატიზებულ ან არაარომატიზებულ სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტიდან, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატიდან ან სპირტიანი სასმელიდან ან მათი კომბინაციით, და რომლის ინგრედიენტებს წარმოადგენენ ხარისხიანი კვერცხის გული, კვერცხის ცილა, და შაქარი ან თაფლი, ან

ორივე ერთად. საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში თაფლის ან შაქრის მინიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი უნდა შეადგენდეს 150 გ-ს, სუფთა კვერცხის გულის მინიმალური შემცველობა საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში უნდა შეადგენდეს 140 გ-ს; თუ წარმოებაში გამოყენებულია სხვა სახეობის ქათმის კვერცხი, რომელიც არ მიეკუთვნება *Gallus gallus* -ის სახეობას, ამის შესახებ მითითებული უნდა იქნეს ეტიკეტზე;

ბ) კვერცხის ლიქიორის ან *ადვოკატის* ან *ავოკატის* ან *ადვოკატის* (Egg liqueur or *advocaat* ან *avocat* ან *advokat*) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 14%-ს;

გ) კვერცხის ლიქიორის ან *ადვოკატის* ან *ავოკატის* ან *ადვოკატის* (Egg liqueur or *advocaat* ან *avocat* ან *advokat*) არომატიზებისათვის დასაშვებია მხოლოდ არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის, არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების გამოყენება

დ) კვერცხის ლიქიორის ან *ადვოკატის* ან *ავოკატის* ან *ადვოკატის* (Egg liqueur or *advocaat* ან *avocat* ან *advokat*) წარმოებაში შესაძლებელია რძისა და რძის ნაწარმის (რძის პროდუქტების) გამოყენება.

39. ლიქიორი კვერცხით (Liqueur with egg)

ა) ლიქიორი კვერცხით წარმოადგენს არომატიზებულ ან არაარომატიზებულ სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტით, სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის დისტილატით ან სპირტიანი სასმელიდან ან მათი კომბინაციით, რომლის შემადგენლობაში შედის ხარისხიანი ინგრედიენტები –კვერცხის გული, კვერცხის ცილა, შაქარი ან თაფლი ან ორივე. საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში თაფლის ან შაქრის მინიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი უნდა შეადგენდეს 150 გ-ს, სუფთა კვერცხის გულის მინიმალური შემცველობა საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში უნდა შეადგენდეს 70 გ-ს;

ბ) ლიქიორი კვერცხით მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 15%-ს;

გ) ლიქიორი კვერცხით არომატიზებისათვის დასაშვებია მხოლოდ არომატიზატორის თვისებ(ებ)ის მქონე სურსათის, ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების გამოყენება;

დ) ლიქიორი კვერცხით წარმოებაში შესაძლებელია რძისა და რძის ნაწარმის (რძის პროდუქტების) გამოყენება.

40. მისტრა (*Mistrà*)

ა) *მისტრა (Mistrà)* წარმოადგენს ანისულით ან ბუნებრივი ანეთოლით არომატიზებულ უფერო სპირტიან სასმელს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა.) ბუნებრივი ანეთოლის შემცველობა ერთ ლიტრში შეადგენს არანაკლებ 1,0 გ-ს და არაუმეტეს 2 გ-ს;

ა.ბ) შეიძლება შეიცავდეს არომატული ბალახოვანი მცენარეების დისტილატს;

ა.გ) არ ხდება *მისტრას (Mistrà)* დატკობა;

ბ) *მისტრას (Mistrà)* მოცულობითი სპირტშემცველობა არანაკლებ 40%-ისა და არაუმეტეს 47 %-ს შეადგენს;

გ) *მისტრას (Mistrà)* არომატიზებისათვის დასაშვებია მხოლოდ არომატული პრეპარატების და ნატურალური (ბუნებრივი) არომატული ნივთიერებების გამოყენება;

დ) არ უნდა მოხდეს *მისტრას (Mistrà)* შეფერვა.

41. ვაკევა გლოგი ან სპირტგლოგი (*Väkevä glögi* ან *spritglögg*)

ა) *ვაკევა გლოგი ან სპირტგლოგი (Väkevä glögi ან spritglögg)* წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია ღვინის ან ღვინის პროდუქტებისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის მიხაკის ან დარიჩინის, ან ორივეთი არომატიზაციით, ერთ-ერთი შემდეგი პროცესის ან მათი კომბინაციის გამოყენებით:

ა.ა) მაცერაციით ან დისტილაციით;

ა.ბ) სპირტის დისტილაციით მიხაკის ან დარიჩინის ნაწილების თანაობისას;

ა.გ) მიხაკის ან დარიჩინის ბუნებრივი არომატიზატორების დამატებით;

ბ) *ვაკევა გლოგის ან სპირტგლოგის (Väkevä glögi ან spritglögg)* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 15%-ს;

გ) *ვაკევა გლოგის ან სპირტგლოგის (Väkevä glögi ან spritglögg)* არომატიზებისათვის შესაძლებელია მხოლოდ არომატული ნივთიერებების, ან არომატული პრეპარატების ან სხვა არომატიზატორების გამოყენება იმ პირობით, რომ მასში „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული საწილებლების არომატი იქნება უპირატესი;

დ) საბოლოო/მზა პროდუქტში ღვინის ან ღვინის პროდუქტების შემცველობა არ უნდა აღემატებოდეს 50%-ს.

42. ბერენბურგი ან ბეერენბურგი (*Berenburg* ან *Beerenburg*)

ა) *ბერენბურგი ან ბეერენბურგი (Berenburg ან Beerenburg)* წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა.ა) წარმოებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის გამოყენებით;

ა.ბ) წარმოებულია ხილის ან მცენარეების ან მათი ნაწილების მაცერაციით;

ა.გ) შეიცავს სპეციფიკურ არომატიზატორს – ნაღველას (*Gentiana lutea L.*) ფესვის, ღვიის (*Juniperus communis L.*) კენკროვანი ნაყოფის და დაფნის (*Laurus nobilis L.*) ფოთლების დისტილატს;

ა.დ) შეფერილობა იცვლება ღია ყავისფერიდან მუქ ყავისფერ შეფერვამდე;

ა.ე) შესაძლებელია დატკობა ისე, რომ საბოლოო/მზა პროდუქტის ყოველ ერთ ლიტრში დამატკობელი პროდუქტების მაქსიმალური შემცველობა, გამოსახული როგორც ინვერსიული შაქარი უნდა შეადგენდეს 20 გ-ს;

ბ) ბერენბურგის ან ბეერენბურგის (*Berenburg* ან *Beerenburg*) მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა უნდა შეადგენდეს 30 %-ს;

გ) ბერენბურგის ან ბეერენბურგის (*Berenburg* ან *Beerenburg*) არომატიზებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ბუნებრივი (ნატურალური) არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების დამატება.

43. თაფლის ან თაფლუჭის ნექტარი (Honey nectar ან mead nectar)

ა) თაფლის ან თაფლუჭის ნექტარი წარმოადგენს სპირტიან სასმელს, რომელიც წარმოებულია ფერმენტირებული თაფლის ტკბილის და თაფლის დისტილატის, ან სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის, ან ორივეს ნარევის არომატიზებით, რომელიც შეიცავს არანაკლებ 30% ფერმენტირებული თაფლის ტკბილს;

ბ) თაფლის ან თაფლუჭის ნექტარის მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 22%-ს;

გ) თაფლის ანუ თაფლუჭის ნექტარის არომატიზებისათვის დასაშვებია მხოლოდ ბუნებრივი (ნატურალური) არომატული ნივთიერებების და არომატული პრეპარატების დამატება იმ პირობით, რომ მასში თაფლის გემო უნდა იყოს უპირატესი;

დ) თაფლის ან თაფლუჭის ნექტარის დატკობა შესაძლებელია მხოლოდ თაფლით.

დანართი N2

სპეციფიკური წესები ზოგიერთ სპირტიან სასმელებთან დაკავშირებით

1. **რომი - ვერშნიტი (Rum-Verschnitt)** წარმოებულია გერმანიაში და მიიღება რომისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის შერევით ისე, რომ საბოლოო/მზა პროდუქტში სპირტის მინიმალური შემცველობა – 5% უნდა გამომდინარეობდეს რომიდან. *რომ - ვერშნიტის* მინიმალური მოცულობითი სპირტშემცველობა შეადგენს 37,5%-ს. ბაზარზე განთავსებისას, აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირებისას, სიტყვა „*რომი - ვერშნიტი*“ (*Rum-Verschnitt*) განთავსებული უნდა იქნეს იმავე ფერის და ზომის შრიფტით და იმავე ხაზზე, როგორც სიტყვა „*რომი*“ და, ბოთლის შემთხვევაში – წინა ეტიკეტზე. ამ პროდუქტის ოფიციალური დასახელება უნდა იყოს „სპირტიანი სასმელი“. თუ *რომ - ვერშნიტი* ბაზარზე განთავსდება გერმანიის გარეთ, მისი ალკოჰოლური შემადგენლობა უნდა იყოს გამოსახული ეტიკეტზე.

2. **სლივოვიცე (Slivovice)** წარმოებულია ჩეხეთში და მიიღება ქლიავის დისტილატზე, სრულ დისტილაციამდე (დისტილაციის დამთავრებამდე) სასოფლო-სამეურნეო წარმოშობის ეთილის სპირტის დამატებით, ისე, რომ საბოლოო/მზა პროდუქტში 70 %-იანი სპირტის მინიმალური წილი, უნდა იყოს ქლიავის დისტილატიდან. ამ პროდუქტის ოფიციალური დასახელება უნდა იყოს „სპირტიანი სასმელი“. შესაძლებელია დასახელება „*სლივოვიცე*“ "*Slivovice*"-ს დამატება, თუ ის გამოჩნდება იმავე მხედველობის არეში, წინა ეტიკეტზე. თუ სლივოვიცე ბაზარზე განთავსებულია ჩეხეთის ფარგლებს გარეთ, მისი ალკოჰოლური შემადგენლობა მითითებული უნდა იყოს ეტიკეტზე. ამ მოთხოვნამ არ უნდა შეცვალოს ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართი N1-ის მე-5 კატეგორიის ხილის სპირტიანი სასმელებისთვის განსაზღვრული ოფიციალურ დასახელებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

3. **გინოლეტ კირში (Guignolet Kirsch)** იწარმოება საფრანგეთში და მიიღება *გინოლეტისა* და *კირშის* შერევით ისე, რომ საბოლოო/მზა პროდუქტში შემავალი სუფთა სპირტის სულ მცირე 3 % მიღებული უნდა იყოს *კირშისაგან*. აღწერის, წარდგენისა და ეტიკეტირებისას სიტყვა „*გინოლეტ*“ (*Guignolet*) უნდა გამოჩნდეს იმავე ფერისა და ზომის შრიფტით, როგორც სიტყვა „*კირში*“ (*Kirsch*) და, ბოთლების შემთხვევაში, წინა ეტიკეტზე. ამ პროდუქტის ოფიციალური დასახელება უნდა იყოს "ლიქიორი". მისი ალკოჰოლური შემადგენლობა უნდა მიუთითებდეს სუფთა სპირტის მოცულობით პროცენტულ მაჩვენებელს, რომელსაც გინოლეტ და კირში წარმოადგენენ *გინოლეტ-კირშის* საერთო სუფთა სპირტის მოცულობაში.

დანართი N3

საქართველოში დაცული ევროკავშირში გეოგრაფიული აღნიშვნებით
დაცული სპირტიანი სასმელები

სპირტიანი სასმელის კატეგორია	დაცვას დაქვემდებარებული დასახელება	ქართული ტრანსკრიპცია	ევროკავშირის წევრი ქვეყანა
რომი (Rum)	Ron de Granada	რონ დე გრანადა	ესპანეთი
	Ron de Málaga	რონ დე მალაგა	ესპანეთი
	Rhum de la Guadeloupe	რომ დე ლა გვადელუპ	საფრანგეთი
	Rhum de la Guyane	რომ დე ლა გუიან	საფრანგეთი
	Rhum de la Martinique	რომ დე ლა მარტინიკ	საფრანგეთი
	Rhum de la Réunion	რომ დე ლა რეუნიონ	საფრანგეთი
	Rhum de sucrerie de la Baie du Galion	რომ დე სიუკრერი დე ლა ბე დიუ გალიონ	საფრანგეთი
	Rhum des Antilles françaises	რომ დეზ ანტიი ფრანცეზ	საფრანგეთი
	Rhum des départements français d'outre-mer	რომ დე დეპარტემან ფრანცე დ'უტრ-მერ	საფრანგეთი
	Rum da Madeira	რომ დე მადეირა	პორტუგალია
ვისკი (Whisky/Whiskey)	Irish Whiskey/ Uisce Beatha Eireannach/ Irish Whisky 1	აირიშ ვისკი /ვისკე ბითე აირინაჰ /აირიშ ვისკი	ირლანდია
	Whisky español	ვისკი ესპანიოლ	ესპანეთი
	Whisky alsacien / Whisky d'Alsace	ვისკი ალზასიენ/ ვისკი დ'ალზას	საფრანგეთი
	Whisky breton / Whisky de Bretagne	ვისკი ბრეტონ/ ვისკი დე ბრეტან	საფრანგეთი
	Scotch Whisky	სქოტ ვისკი	დიდი ბრიტანეთი
მარცვლეულის სპირტიანი სასმელი (Grain spirit)	Korn / Kornbrand	კორნ/კორნბრანდ	ბელგია, გერმანია, ავსტრია
	Samanė	სამანე	ლიტვა

	Eau-de-vie de seigle de marque nationale luxembourgeoise	ო-დე-ვი დე სეგლ დე მარკ ნასიონალ ლუქსამბურჟუაზ	ლუქსემბურგი
	Bergischer Korn / Kornbrand	ბერგიშერ კორნ/ კორნბრანდ	გერმანია
	Emsländer Korn / Kornbrand	ემსლენდერ კორნ/კორნბრანდ	გერმანია
	Haselünner Korn / Kornbrand	ჰაზელიუნერ კორნ/კორნბრანდ	გერმანია
	Hasetaler Korn / Kornbrand	ჰაზეტალერ კორნ /კორნბრანდ	გერმანია
	Münsterländer Korn / Kornbrand	მიუნსტერლენდერ კორნ/კორნბრანდ	გერმანია
	Sendenhorster Korn / Kornbrand	ზენდენჰორსტერ კორნ/კორნბრანდ	გერმანია
ხილის სპირტიანი სასმელი (Fruit spirit)	Ловешка сливова ракия / Сливова ракия от Ловеч / Loveshka slivova rakya / Slivova rakya from Lovech	ლოვეშკა სლივოვა რაკია/ სლივოვა რაკია ოტ ლოვეჩ /ლოვეშკა სლივოვა რაკია /სლივოვა რაკია ლოვეჩიდან	ბულგარეთი
	Силистренска кайсиева ракия / Кайсиева ракия от Силистра / Silistrenska kaysieva rakya / Kaysieva rakya from Silistra	სილისტრენსკა კაისიევა რაკია/ კაისიევა რაკია ოტ სილისტრა/ სილისტრენსკა კაისიევა რაკია/ კაისიევა რაკია სილისტრადან	ბულგარეთი
	Тервелска кайсиева ракия / Кайсиева ракия от Тервел / Tervelska kaysieva rakya / Kaysieva rakya from Tervel	ტერველსკა კაისიევა რაკია / კაისიევა რაკია ოტ ტერველ/ ტერველსკა კაისიევა რაკია/ კაისიევა რაკია ტერველიდან	ბულგარეთი
	Троянска сливова ракия / Сливова ракия от Троян / Troyanska slivova rakya / Slivova rakya from Troyan	ტროიანსკა სლივოვა რაკია / სლივოვა რაკია ოტ ტროიან/ ტროიანსკა სლივოვა რაკია/ სლივოვა რაკია ტროიანიდან	ბულგარეთი
	Fränkischer Obstler	ფრენკიშერ ობსტლერ	გერმანია
	Fränkisches Kirschwasser	ფრენკიშეს კირშვასერ	გერმანია
	Fränkisches Zwetschgenwasser	ფრენკიშეს ცვეჩგენვასერ	გერმანია
	Schwarzwälder Kirschwasser	შვარცველდერ კირშვასერ	გერმანია
	Schwarzwälder Mirabellenwasser	შვარცველდერ მირაბელენვასერ	გერმანია
	Schwarzwälder Williamsbirne	შვარცველდერ უილიამსბირნე	გერმანია
	Schwarzwälder Zwetschgenwasser	შვარცველდერ ცვეჩგენვასერ	გერმანია
	Framboise d'Alsace	ფრამბუაზ დ'ალზას	საფრანგეთი
	Kirsch d'Alsace	კირშ დ'ალზას	საფრანგეთი
	Kirsch de Fougerolles	კირშ დე ფუჟეროლ	საფრანგეთი
	Mirabelle d'Alsace	მირაბელ დ'ალზას	საფრანგეთი
	Mirabelle de Lorraine	მირაბელ დე ლორენ	საფრანგეთი
	Quetsch d'Alsace	კეტჩ დ'ალზას	საფრანგეთი

Williams d'Orléans	უილიამს დ'ორლენ	საფრანგეთი
Aprikot del Trentino	აპრიკოტ ტრენტინო/ აპრიკოტ დელ ტრენტინო	იტალია
Distillato di mele trentino / Distillato di mele del Trentino	დისტილატო დი მელე ტრენტინო/ დისტილატო დი მელე დელ ტრენტინო	იტალია
Kirsch Friulano / Kirschwasser Friulano	კირშ ფრიულანო/ კირშვასერ ფრიულანო	იტალია
Kirsch Trentino / Kirschwasser Trentino	კირშ ტრენტინო/ კირშვასერ ტრენტინო	იტალია
Kirsch Veneto / Kirschwasser Veneto	კირშ ვენეტო/ კირშვასერ ვენეტო	იტალია
Sliwovitz del Friuli-Venezia Giulia	სლივოვიც დელ ფრი-ული- ვენეცია ჯულია	იტალია
Sliwovitz del Trentino-Alto Adige	სლივოვიც დელ ტრენტინო- ალტო ადიჯე	იტალია
Sliwovitz del Veneto	სლივოვიც დელ ვენეტო	იტალია
Sliwovitz trentino / Sliwovitz del Trentino	სლივოვიც ტრენტინო/ სლივოვიც დელ ტრენტინო	იტალია
Südtiroler Aprikot / Aprikot dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ აპრიკოტ/ აპრიკოტ / დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Südtiroler Golden Delicious / Golden Delicious dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ გოლდენ დილიშეზ/ გოლდენ დილიშეზ დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Südtiroler Gravensteiner/ Gravensteiner dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ გრავენ- შტაინერ/გრავენშტაინერ დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Südtiroler Kirsch / Kirsch dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ კირშ/ კირშ დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Südtiroler Marille / Marille dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ მარილე/ მარილე დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Südtiroler Obstler / Obstler dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ ობსტლერ/ობსტლერ დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Südtiroler Williams / Williams dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ უილიამს/ უილიამს დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Südtiroler Zwetschgeler / Zwetschgeler dell'Alto Adige	ზიუდტიროლერ ცვეზგელერ/ცვეზგელერ დელ'ალტო ადიჯე	იტალია
Williams friulano / Williams del Friuli	უილიამს ფრიულანო/ უილიამს დელ ფრიული	იტალია
Williams trentino / Williams del Trentino	უილიამს ტრენტინო/ უილიამს დელ ტრენტინო	იტალია
Eau-de-vie de kirsch de marque nationale luxembourgeoise	ო-დე-ვი დე კირშ დე მარკ ნასიონალ ლუქსემბურჟუა	ლუქსემბურგი

Eau-de-vie de mirabelle de marque nationale luxembourgeoise	ო-დე-ვი დე მირაბელ დე მარკ ნასიონალ ლუქსემბურჟუა	ლუქსემბურგი
Eau-de-vie de poires de marque nationale luxembourgeoise	ო-დე-ვი დე პუარ დე მარკ ნასიონალ ლუქსემბურჟუა	ლუქსემბურგი
Eau-de-vie de pommes de marque nationale luxembourgeoise	ო-დე-ვი დე პომ დე მარკ ნასიონალ ლუქსემბურჟუა	ლუქსემბურგი
Eau-de-vie de prunelles de marque nationale luxembourgeoise	ო-დე-ვი დე პრიუნელ დე მარკ ნასიონალ ლუქსემბურჟუა	ლუქსემბურგი
Eau-de-vie de quetsch de marque nationale luxembourgeoise	ო-დე-ვი დე კეტჩ დე მარკ ნასიონალ ლუქსემბურჟუა	ლუქსემბურგი
Békési szilvapálinka	ბეკეში სილვაპალინკა	უნგრეთი
Gönci barackpálinka	გენსი ბარაკპალინკა	უნგრეთი
Kecskeméti barackpálinka	კეჩკემეტი ბარაკპალინკა	უნგრეთი
Szabolcsi almapálinka	საბოლჩი ალმაპალინკა	უნგრეთი
Szatmári szilvapálinka	სატმარი სილვაპალინკა	უნგრეთი
Pálinka	პალინკა	უნგრეთი
Wachauer Marillenbrand	ვახაუერ მარილენბრანდ	ავსტრია
Aguardente de péra da Lousã	აგუარდენტე დე პერა და ლოუზა	პორტუგალია
Medronho do Algarve	მედრონუ დუ ალგარვე	პორტუგალია
Medronho do Buçaco	მედრონუ დუ ბუსაკო	პორტუგალია
Horincă de Cămârzana	ჰორინკე დე კემერზანა	რუმინეთი
Horincă de Chioar	ჰორინკე დე ჰიოარ	რუმინეთი
Horincă de Lăpuș	ჰორინკე დე ლეპუშ	რუმინეთი
Horincă de Maramureș	ჰორინკე დე მარამურეშ	რუმინეთი
Horincă de Seini	ჰორინკე დე სეინი	რუმინეთი
Pălincă	პელინკე	რუმინეთი
Țuică Ardelenescă de Bistrița	ტუიკე არდელენესკე დე ბისტრიცა	რუმინეთი
Țuică de Argeș	ტუიკე დე არგეშ	რუმინეთი
Țuică de Buzău	ტუიკე დე ბუზეუ	რუმინეთი
Țuică de Valea Milcovului	ტუიკე დე ვალეა მილკოვულუი ხილის სპირტი	რუმინეთი
Țuică de Zalău	ტუიკე დე ზალეუ	რუმინეთი
Țuică Zetea de Medieșu Aurit	ტუიკე ზეტეა დე მედიეშუ აურიტ	რუმინეთი
Turț de Maramureș	ტურც დე მარამურეშ	რუმინეთი
Turț de Oaș	ტურც დე ოაშ	რუმინეთი
Brinjevec	ბრინჟევეც	სლოვენია
Dolenjski sadjevec	დოლენჟსკი სადჟევეც	სლოვენია
Bošacka Slivovica	ბოშაკა სლივოვიცა	სლოვაკეთი

სიდრის სპირტიანი სასმელი და პერის სპირტიანი სასმელი (Cider spirit and perry spirit)	Aguardiente de sidra de Asturias	აგუარდენტე დე სიდრა დე ასტურიას სიდრის	ესპანეთი
	Calvados	კალვადოს	საფრანგეთი
	Calvados Domfrontais	კალვადოს დომფრონტე	საფრანგეთი
	Calvados Pays d'Auge	კალვადოს პეი დ'ოჟ	საფრანგეთი
	Eau-de-vie de cidre de Bretagne	ო-დე-ვი დე სიდრ დე ბრეტან	საფრანგეთი
	Eau-de-vie de cidre de Normandie	ო-დ-ვი დე სიდრ დე ნორმანდი	საფრანგეთი
	Eau-de-vie de cidre du Maine	ო-დე-ვი დე სიდრ დიუ მენ	საფრანგეთი
	Eau-de-vie de poiré de Bretagne	ო-დე-ვი დე პუარე დე ბრეტან	საფრანგეთი
	Eau-de-vie de poiré de Normandie	ო-დე-ვი დე პუარე დე ნორმანდი	საფრანგეთი
	Eau-de-vie de poiré du Maine	ო-დე-ვი დე პუარე დიუ მენ	საფრანგეთი
	Somerset Cider Brandy	სომერსეთ საიდერ ბრენდი	დიდი ბრიტანეთი
ვოდკა (Vodka) არომატიზებული ვოდკა (Flavoured vodka)	Estonian vodka	ესტონიან ვოდკა	ესტონეთი
	Latvijas Dzidrais	ლატვიჯას სიდრეს	ლატვია
	Rīgas Degvīns	რიგას დეგვინს	ლატვია
	Originali lietuviška degtinė / Original Lithuanian vodka	ორიჯინალი ლიეტუ-ვიშკა დეგტინე /ორიჯი-ნალ ლითუნიან ვოდკა	ლიტვა
	Herbal vodka from the North Podlasie Lowland aromatised with an extract of bison grass / Wódka ziołowa z Niziny Północnopodlaskiej aromatyzowana ekstraktem z trawy żubrowej	მცენარეული ვოდკა ჩრდილოეთ პოდლეზიეს დბლობიდან, არომატი-ზებული ბიზონის ბალახის ექსტრაქტით / ზიოლოვა ზნიზინი	პოლონეთი
	Polska Wódka / Polish Vodka	პოლსკა ვოდკა / პოლონური ვოდკა ან ფოლიშ ვოდკა	პოლონეთი
	Laugarício vodka	ლაუგარიციო ვოდკა	სლოვაკეთი
	Suomalainen Vodka / Finsk Vodka / Vodka of Finland	სუომალეაინენ ვოდკა / ფინსკ ვოდკა / ვოდკა ოფ ფინლენდ ან ფინური ვოდკა	ფინეთი
Svensk Vodka / Swedish Vodka	სვენშ ვოდკა / სვედიშ ვოდკა ან შვედური ვოდკა	შვედეთი	
გეისტი (Geist)	Schwarzwälder Himbeergeist	შვარცველდერ ჰიმბერგაისთ	გერმანია
მწარე სასმელი (Gentian)	Bayerischer Gebirgsenzian	ბაიერიშერ გებირგსენციან	გერმანია
ღვის არომატიანი სპირტიანი სასმელები	Balegemse jenever	ბალეჯემსე ჟენევე	ბელგია
	Hasseltse jenever / Hasselt	ჰასელტსე ჟენევე / ჰასელტ	ბელგია

(Juniper-flavoured spirit drinks)	O 'de Flander-Oost-Vlaamse Graanjenever	ო'დე ფლანდერ-ოსტ-ვლამსე გრანჟენევე	ბელგია
	Peket-Pekêt/Pèket-Pèkèt de Wallonie	პეკეტ-პეკეტ / პეკეტ-პეკეტ დე ვალონი	ბელგია
	Jonge jenever/ jonge genever	ჟონჯე ჟენევე / ჟონჯე ჯენევე	ბელგია, ნიდერლანდები
	Oude jenever, oude genever	უდე ჟენევე, უდე ჯენევე	ბელგია, ნიდერლანდები
	Genièvre des, Graanjenever, Graangenever	ჟენიევრ დე გრენ, გრანანჟენევე/გრანანჟენევე	ბელგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი Nord (59) და Pas-de-Calais (62))
	Genièvre / Jenever / Genever	ჟენიევრ/ჟენევე/ჟენევე	ბელგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია
	Ostfriesischer Korngenever	ოსტფრიზიშერ კორნგენევერ	გერმანია
	Steinhäger	შტაინჰეგერ	გერმანია
	Gin de Mahón	ხინ დე მაონ	ესპანეთი
	Genièvre Flandres Artois	ჟენიევრ ფლანდრ არტუა	საფრანგეთი
	Vilniaus džinas / Vilnius Gin	ვილინიაუს ჯინას / ვილინიუს ჯინ	ლიტვა
	Inovecká borovička	ინოვეცკა ბოროვიჩკა	სლოვაკეთი
	Liptovská borovička	ლიპტოვსკა ბოროვიჩკა	სლოვაკეთი
	Slovenská borovička	სლოვენსკა ბოროვიჩკა	სლოვაკეთი
	Slovenská borovička Juniperus	სლოვენსკა ბოროვიჩკა ჟუნიპერუს	სლოვაკეთი
Spišská borovička	სპიშსკა ბოროვიჩკა	სლოვაკეთი	
Plymouth Gin	ფლაიმუთ ჯინ	დიდი ბრიტანეთი	
აკვავიტი (Akvavit /Aquavit)	Dansk Akvavit / Dansk Aquavit	დანსკ აკვავიტი / დანსკ აკვავიტი	დანია
	Svensk Aquavit / Svensk Akvavit / Swedish Aquavit	სვენშ აკვავიტი/ სვენშ აკვავიტი/სვედიშ აკვავიტი	შვედეთი
ანისულის არომატიანი სპირტიანი სასმელები (Aniseed-flavoured spirit drinks)	Anís español	ანის ესპანიოლ	ესპანეთი
	Anís Paloma Monforte del Cid	ანის პალომა მონფორტე დელ სიდ	ესპანეთი
	Cazalla	კასალია	ესპანეთი
	Chinchón	ჩინჩონ	ესპანეთი
	Hierbas de Mallorca	იერბას დე მალიორკა	ესპანეთი
	Hierbas Ibicencas	იერბას იბისენკას	ესპანეთი
	Ojén	ოხენ	ესპანეთი
	Rute	რუტე	ესპანეთი
Évora anisada	ევორა ანისადა	პორტუგალია	

	Janeževc	ჯანეჟევეც	სლოვენია
ანისულის დისტილირებული სასმელი (Distilled Anis)	Ούζο Θράκης / Ouzo of Thrace	უსო ტრაკიას / ტრაკიას უსო	საბერძნეთი
	Ούζο Καλαμάτας / Ouzo of Kalamata	უსო კალამატას / კალამატას უსო	საბერძნეთი
	Ούζο Μακεδονίας / Ouzo of Macedonia	უსო მაკედონიას / მაკედონიას უსო	საბერძნეთი
	Ούζο Μιτιλήνης / Ouzo of Mitilene	უსო მიტილინის / მიტილინის უსო	საბერძნეთი
	Ούζο Πλωμαρίου / Ouzo of Plomari	უსო პლომარიუ / პლომარის უსო	საბერძნეთი
	Ouzo / Ούζο	უსო / უსო	საბერძნეთი, კვიპროსი
მწარე გემოს მქონე სპირტიანი სასმელები (Bitter-tasting spirit drinks)	Trejos devyneries	ტრეჟოს დევინერიოს	ლიტვა
	Slovenska travarica	სლოვენსკა ტრავარიცა	სლოვენია
	Demänovka bylinná horká	დემენოვკა ბილინა ჰორკა	სლოვაკეთი
	Rheinberger Kräuter	რაინბერგერ კროიტერ	გერმანია
ლიქიორი (Liqueur)	Polish Cherry	ფოლიშ ჩერი	პოლონეთი
	Anis português	ანის პორტუგეს	პორტუგალია
	Ginjinha portuguesa	ჟინჟინა პორტუგესა	პორტუგალია
	Licor de Singeverga	ლიკორ დე სინჟევერგა	პორტუგალია
	Poncha da Madeira	პონჩა და მადეირა	პორტუგალია
	Pelinkovec	პელინკოვეც	სლოვენია
	Demänovka Bylinný Likér	დემენოვკა ბილინი ლიკერ	სლოვაკეთი
	Suomalainen Marjalikööri / Suomalainen Hedelmälikööri / Finsk Bärlikör / Finsk Fruktlikör / Finnish berry liqueur / Finnish fruit liqueur	სუომალენენ მარჯა-ლიკერი / სუომალენენ ჰედელმელიკერი / ფინსკ ბერლიკერი / ფინსკ ფრუქტლიკერი / ფინიშ ბერი ლიკერ / ფინიშ ფრუტ ლიკურ	ფინეთი
	Karlovarská Hořká	კარლოვარსკა ჰორჟკა	ჩეხეთის რესპუბლიკა
	Bayerischer Kräuterlikör	ბაიერიშერ კროითერლიქიორ	გერმანია
	Benediktbeurer Klosterlikör	ბენდიქტბოირერ კლოსთერლიქიორ	გერმანია
	Berliner Kümmel	ბერლინერ კიუმელ	გერმანია
	Blutwurz	ბლუთვურც	გერმანია
	Chiemseer Klosterlikör	ქიმზეერ კლოსთერლიქიორ	გერმანია
	Ettaler Klosterlikör	ეტალერ კლოსთერლიქიორ	გერმანია
	Hamburger Kümmel	ჰამბურგერ კიუმელ	გერმანია
Hüttentee	ჰიუტენტეე	გერმანია	

	Münchener Kümmel	მიუნხენერ ქიუმელ	გერმანია
	Irish Cream	აირიშ კრემ	ირლანდია
	Κίτρο Νάξου / Kitro of Naxos	კიტრო ნაქსუ / ნაქსოს კიტრო	საბერძნეთი
	Κουμκουάτ Κέρκυρας / Koum Kouat of Corfu	კუმკუატ კერკირას / კორფუს კუმ კუატ	საბერძნეთი
	Μαστίχα Χίου / Masticha of Chios	მაცინა ხიუ / კიოს მაცინა	საბერძნეთი
	Τεντούρα / Tentoura	ტენდურა / ტენტურა	საბერძნეთი
	Cantueso Alicantino	კანტუესო ალიკანტინო	ესპანეთი
	Licor café de Galicia	ლიკორ კაფე დე გალისია	ესპანეთი
	Licor de hierbas de Galicia	ლოკორ დე იერბას დე გალისია	ესპანეთი
	Palo de Mallorca	პალო დე მალიორკა	ესპანეთი
	Ratafia catalana	რატაფია კატალანა	ესპანეთი
	Ratafia de Champagne	რატაფია დე შამპან	საფრანგეთი
	Génépi des Alpes / Genepi degli Alpi	ჯენეპი დეზ ალპ/ ჯენეპი დელი ალპი	საფრანგეთი, იტალია
	Genepi del Piemonte	ჯენეპი დელ პიემონტე	იტალია
	Genepi della Valle d'Aosta	ჯენეპი დელა ვალე დ'აოსტა	იტალია
	Liquore di limone della Costa d'Amalfi	ლიკვორე დი ლიმონე დელა კოსტა დ'ამალფი	იტალია
	Liquore di limone di Sorrento	ლიკვორე დი ლიმონე დი სორენტო	იტალია
	Allažu Ķimelis	ალაჟუ კიმელის	ლატვია
	Čepkelių	ჩეპკელიუ	ლატვია
	Grossglockner Alpenbitter	გროსგლოქნერ ალპენბიტერ	ავსტრია
	Jägertee / Jagertee / Jagatee	იეგერტეე/ იაგერტეე/იაგატეე	ავსტრია
	Mariazeller Jagasaftl	მარიაცელერ იაგაზაფტლ	ავსტრია
	Mariazeller Magenlikör	მარიაცელერ მაგენლიკიორ	ავსტრია
	Puchheimer Bitter	პუჰჰაიმერ ბიტერ	ავსტრია
	Steinfelder Magenbitter	შტაინფელდერ მაგენბიტერ	ავსტრია
	Wachauer Marillenlikör	ვახაუერ მარილენლიკიორ	ავსტრია
კრემ დე კასის (Crème de cassis)	Cassis de Bourgogne	კასის დე ბურგონ	საფრანგეთი
	Cassis de Dijon	კასის დე დიჟონ	საფრანგეთი
	Cassis de Saintonge	კასის სენტონჟ	საფრანგეთი
	Cassis du Dauphiné	კასის დიუ დოფინე	საფრანგეთი
	Cassis de Beaufort	კასის დე ბოფორ	ლუქსემბურგი
ნოჩინო (Nocino)	Nocino di Modena	ნოჩინო დი მოდენა	იტალია
	Orehovec	ორეპოვეც	სლოვენია

სხვა სპირტიანი სასმელები (Other Spirit Drinks)	Genièvre aux fruits / Vruchtenjenever /Jenever met vruchten / Fruchtjenever	ჟენივერ ო ფრუი / ფრუხტენჟენევერ / ჟენევერ მეტ ფრუხტენ / ფრუხტჯენევერ	ბელგია, ნიდერლანდები, საფრანგეთი, გერმანია
	Bärwurz	ბერვურც	გერმანია
	Königsberger Bärenfang	კონიგსბერგერ ბერენფანგ	გერმანია
	Ostpreußischer Bärenfang	ოსტპროისიშერ ბერენფანგ	გერმანია
	Irish Poteen / Irish Poitín	აირიშ პოტინ / აირიშ პოიტინ	ირლანდია
	Aguardiente de hierbas de Galicia	აგუარდიენტე დე იერბას დე გალისია	ესპანეთი
	Aperitivo Café de Alcoy	აპერიტივო კაფე დე ალკოი	ესპანეთი
	Herbero de la Sierra de Mariola	ერბერო დე ლა სიერა დე მარიოლა	ესპანეთი
	Pacharán Navarro	პაჩარან ნავარო	ესპანეთი
	Ronmiel	რონმიელ	ესპანეთი
	Ronmiel de Canarias	რონმიელ დეკანარიას	ესპანეთი
	Pommeau de Bretagne	პომო დე ბრეტან	საფრანგეთი
	Pommeau de Normandie	პომო დე ნორმანდი	საფრანგეთი
	Pommeau du Maine	პომო დიუ მენ	საფრანგეთი
	Trauktinė	ტრაუკტინე	ლიტვა
	Trauktinė "Palanga"	ტრაუკტინე „პალანგა“	ლიტვა
	Trauktinė "Dainava"	ტრაუკტინე „დაინავა“	ლიტვა
	Inländerrum	ინლენდერუმ	ავსტრია
	Domači rum	დომაჩი რუმ	სლოვენია
	Svensk Punsch / Swedish Punch	სვენშუ პუნს / სვედიშ ფანრ	შვედეთი

(1) გეორაფიული აღნიშვნა აირიშ ვისკი/ვისკე ბითე აირინაჰ/აირიშ ვისკი მოიცავს ირლანდიასა და ჩრდილოეთ ირლანდიაში წარმოებულ ვისკს.